www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 16 ოქტომბერი, 2012 წელი. | №3137 (230) | ფასი 50 თეთრი

ოპოზიციური "ნაციონალური მოძრაობა" ძველ გენერალურ მდივანს იბრუნებს

დათო გამისონია

მე-8 მოწვევის პარლამენტში ფრაქციების ნაკლებობას არ უნდა ველოდოთ. ბარიერგადალახული ორივე სუბიექტი რამდენიმე ფრაქციით იქნება წარმოდგენილი. კოალიცია "ქართული ოცნება" 3-4 ფრაქციის ჩამოყალიბებას აპირებს. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, "ნაციონალური მოძრაობის" წევრებიც საკანონმდებლო ორგანოში, დაახლოებით, ამდენივე ფრაქციას ჩამოაყალიბებენ, თუმცა ისინი საპარლამენტო უმცირესობის ფარგლებში ერთიან პოლიტიკურ გუნდად იმოქმედებენ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ნატო-ს შემფასებელთა მისია, აპატურაის ჩამოსვლამდე

დათო გამისონია

18 ოქტომბერს საქართველოს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი ეწვევა. მასთან მოქმედი და მომავალი ხელისუფლების წარმომადგენლები ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის საკითხებზე პოლიტიკურ კონსულტაციებს გამართავენ.

აპატურაის ვიზიტს წინ უძღოდა ნატო-ს წლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაო შეხვედრები. ალიანსის შემფასებელთა მისია პროგრამით განსაზღვრული რეფორმების განხორციელებაში ჩართული უწყებების წარმომადგენლებს მთავრობის კანცელარიაში ხვდებოდა. მაკოორდინებელ ფუნქციას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ასრულებდა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

საფრთხე მოგებულთათვის და წაგებულთათვის

"არჩევნები საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოცდა იყო და ის ქვეყანამ თითქმის წარმატებით ჩააბარა," - განაცხადა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" "აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის - საქართველოს ეროვნული პლატფორმის" მიერ გამართულ კონფერენციაზე.

ევროკავშირის მხარდაჭერით გამართულ კონფერენციას, რომლის მთავარი თემაც "საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პოლიტიკური პროცესები და სამომავლო პერსპექტივები" იყო, საპარლამენტო პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

"საქართველოსადმი ევროკავშირის დამოკიდებულება ყოველთვის იყო და იქნება ძალზედ სერიოზული. მეტიც, ჩვენი მოთხოვნებიც იყო ძალზედ სერიოზული და ეს ნიშნული უფრო მაღლა აიწევს, რადგან საქართველოს შეუძლია, კიდევ უფრო მეტი იმუშაოს, რათა მიუახლოვდეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას," - განაცხადა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა.

ამასთან, ელჩის განმარტებით, ძალაშია ის სიგნალები, რომ თუკი საქართველო დემოკრატიული მიმართულებით სვლას განაგრძობს, ამით ის ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე პროგრესს მიაღწევს. რაც შეეხება თავისუფალი ვაჭრობისა და ასოცირების ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებებს, ელჩის თქმით, ეს მხოლოდ სიტყვები არ არის და ამის რეალიზაცია ხდება.

ფილიპ დიმიტროვის თქმით, საქართველოს მიმართ თითქმის ჩამოყალიბებულია ახალი სქემა, რომელიც 2014-დან 2020 წლამდე ურთიერთობის გეგმას მოიცავს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ბელგიის მუნიციპალურ არჩევნებში ფლამანდიელმა ნაციონალისტებმა გაიმარჯვეს

ხათუნა გაბიევი

ბელგიის ადგილობრივ არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს ფლამანდიელმა ნაციონალისტებმა, მაგრამ ტრიუმფის უმთავრესი ადგილი მაინც ანტვერპენია, რომელიც ქვეყნის რიგით მეორე ეკონომიკური ცენტრია. ანტვერპენში "ახალმა ფლამანდიურმა ალიანსმა" ხმათა 38 პროცენტი მოიპოვა, მისი სეპარატისტი ლიდერი ბარტ დე ვევერი კი ქალაქის მერი ხდება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6633₾
1 ევრო	2.1571₾
1 ინგლისური გირვანქა	2.6716₾
1 თურქული ლირა	0.9206₾
100 რუსული რუბლი	5.3700₾

თბილისი	24°C - 13°C
ქუთაისი	29°C - 17°C
თელავი	24°C - 10°C
ზუგდიდი	28°C - 13°C
ბათუმი	27°C - 16°C

ნავთობი	3.19	-0.03	-1.00%
გაზი	3.49	-0.12	-3.35%
ოქრო	1,735.40	-24.30	-1.40%
ხორბალი	846.75	-10.00	-1.18%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ზაზა ფაჩულიას MISSION COMPLETE

ზურაბ თალაკვაძე

ზაზა ფაჩულია დაბრუნდა. რეგულარულის დაწყებამდე გუნდებმა ტესტების სერია გახსნეს. ზაზა ჯერ ისვენებდა. "ჰოქსმა" პირველი ორი გარჩევა ჩვენი კაცის გარეშე გახსნა. ზაზა ახალ პერსონაჟებს აკვირდებოდა, თვალს აჩვევდა. სადისტური სეზონის შემდეგ დაღლილი, აწყობილი სხეულით აზრზე მოდიხარ, ძველ დატვირთვებს ეჩვევი. ფაჩულია "ატლანტაში" ძველი ბიჭია.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

თბილისის ჯაზფესტივალი იუბილარია

წლევანდელი ფესტივალის პროგრამა ყველაზე ვარსკვლავურია

ია ვეკუა

დი დი ბრიჯუოთერი

რამდენიმე წლის წინ ბერლინის მუსიკალურ აკადემიაში სტუმრობისას, როდესაც გაიგეს, რომ თბილისიდან ვიყავი, ჯაზის ფაკულტეტის პროფესორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თბილისის ჯაზფესტივალი აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო იყო და მომავალში აუცილებლად დაიმკვიდრებდა ადგილს მსოფლიოს წამყვან ჯაზფესტივალთა შორის. ასეც ხდება - ფესტივალი, რომელსაც 30 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, წელს კი მეთხუთმეტედ ტარდება, რეალურად წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათს, რომლის წყალობითაც ჩვენს ჯაზის მოყვარულებს მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსთა მოსმენის საშუალება ეძლევათ.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

N 15/10/02 2012 წლის 15 ოქტომბერი ქ. თბილისი

"საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 ოქტომბრის N10/10/06 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 31 პუნქტის შესაბამისად, "საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 ოქტომბრის N10/10/06 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. 2012 წლის 11 ოქტომბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.".

მიხეილ სააკაშვილი

მთავარი პროკურორობის კანდიდატის მოსაზრებები

შესაძლოა, მთავარი პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს გამოეყოს და ცალკე ინსტიტუტად - კვლავ გენერალურ პროკურატურად ჩამოყალიბდეს. მთავარი პროკურორობის კანდიდატი არჩილ კბილაშვილი თვლის რომ მტავარი პროკურატურის ინსტიტუციონალური მდგომარეობა გადასახედია.

"დღევანდელი კანონმდებლობით, მთავარი პროკურორი იუსტიციის მინისტრს ემორჩილება, გამოდის, რომ მინისტრს ყველა ის უფლება გააჩნია, რაც მთავარ პროკურორს, მას ასევე შეუძლია, პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეცვალოს. ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, რომ გენერალური პროკურატურა უნდა აღდგეს და ის იუსტიციის სამინიტროს უნდა გამოეყოს. გენერალური პროკურორი უნდა დაინიშნოს პრეზიდენტის ან პრემიერ-მინიტრის წარდგენით და პარლამენტის თანხმობით. გენერალური პროკურორის გადაყენება უნდა მოხდეს იმპიჩმენტის წესით," - ასეთია მომავალი მთავარი პროკურორის პოზიცია.

არჩილ კბილაშვილის მოსაზრებით, გენერალურ პროკურატურას უნდა დაემატოს კიდევ ერთი ცალკე დეპარტამენტი, რომელიც უკვე დასრულებულ საქმეებს შეისწავლის.

დღევანდელი კანონმდებლობით, იმ შემტხვევაში, თუკი ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეს ქართული მარეთლმსაჯულების ყველა ინსტანცია გავლილი აქვს და საქმეზე შსაბამისი გადაწყვეტილება მირებული, საქმის ხელახალი გამოძიება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი საქმეში ახალად აღმორენილი გარემოები გამოიკვეთება.

მთავარი პროკურორობის კანდიდატის აზრით, პროკურატურას უნდა დაემატოს ფუნქცია, რომელიც უკვე დასრულებული საქმეების შესწავლას მოემსახურება.

"თუკი პირი მიიჩნევს, რომ განაჩენი არასწორად არის გამოტანილი, მას უნდა მიეცეს საშუალება, გენერალურ პროკურატურას მიმართოს და კონკრეტულად განსაზღვრულ ვადებში აღნიშნული საქმე უნდა გადაიხედოს," - აცხადებს არჩილ კბილაშვილი. მისივე თქმით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები, რომლებზეც კითხვებია დარჩენილი, ძიებაში დაბრუნდება. ასეთ საქმეებს შორის არჩილ კბილაშვილი, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჯვანიას გარდაცვალების საქმეს, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის და გურამ შარაძის მკვლელობის საქმეებს ასახელებს.

რაც შეეხება სტრუქტურაში რეორგანიზაციის საკითხს. მთავარი პროკურორობის კანდიდატის განმარტებით, დღესდღეობით არ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მთავარ პროკურატურაში ყველა თანამდებობის პირი საზოგადოებისთვის მისაღები კადრით ჩავანაცვლდეს.

"მოქმედი პროკურორები თანამდებობებს შეინარჩუნებენ, შეიცვლებიან მხოლოდ მაღალ თანამდებობებზე მყოფი პირები. რაც შეეხება მთავარ პროკურორ მურთაზ ზოდელავას, ამ ეტაპზე, მასთან დაკავშირებით არაფერი ვიცი. თუკი გაჩნდება რაიმე ეჭვი, რომ მისი სამართლებლივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, მაშინ ასეც მოხდება," - განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მიწისძვრამ ლაგოდეხის სოფელში შენობები დააზიანა

მიწისძვრამ ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭიაურში 15 სახლი და საჯარო სკოლა დააზიანა. სოფლის გამგებელ ტარიელ ქიმაძის განცხადებით, მიწისქვეშა ბიძგები რამდენჯერმე განმეორდა, რის გამოც მოსახლეობა პანიკაშია. სოფლის გამგებლის ინფორმაციით, შეწყვეტილია სასწავლო პროცესიც, რადგან მიწისძვრამ სკოლის შენობაც დააზიანა. სოფელმ ელოდებიან განათლების სამინისტროს ექსპერტებს, რომლებიც შეისწავლიან, უსაფრთხოა თუ არა სკოლაში სასწავლო პროცესის აღდგენა. რაც შეეხება ზარალს, ქიმაძის განცხადებით, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ზუსტ ზარალს დათვლის.

5,1 მაგნიტუდის მიწისძვრა საქართველოს აზერბაიჯანის საზღვართან 14 ოქტომბერს მოხდა.

ნატო-ს შემფასებელთა მისია, აპატურაის ჩამოსვლამდე

პირველი გვერდიდან

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ელენე ხოშტარიას თქმით, "ეს წლიური ეროვნული პროგრამის რიგით მე-3 შეფასებაა". პროგრამის განხილვის შემდეგ მისია შეფასების დოკუმენტს მოამზადებს. როგორც ხოშტარია ამბობს, ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც საქართველოს საშუალებას აძლევს, ნატო-ს ის რეფორმები გააცნოს, რომლებიც ქვეყანაში გატარდა. ელენე ხოშტარია დასძენს, რომ საქართველოს პროგრესი თავის დროზე ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი გახდა, "ამჟამად კი საქართველო ბალკანეთის ქვეყნებთან ერთად განიხილება," - აღნიშნავს ხოშტარია. მას მიაჩნია, რომ საქართველოში საერთაშორისოდ აღიარებული დემოკრატიული არჩევნების ჩატარება დღეისთვის პოზიტიურ ფონს ქმნის.

სამუშაო შეხვედრის მონაწილემ, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კანდელაკმა "24 საათს" უთხრა, რომ არჩევნების ხარისხი საქართველოს მიერ დემოკრატიზაციის კუთხით მიღწეული წინსვლის შესახებ საუბრის საშუალებას იძლევა. კანდელაკი იმედს გამოთქვამს, რომ არჩევნების მიმართულებით საქართველოს პროგრესი ნატო-ში ინტეგრაციის საკითხზე სათანადოდ აისახება.

"მიუხედავად იმისა, რომ "ნაციონალურ მოძრაობასა" და გამარჯვებულ კოალიციას შორის უზარმაზარი განსხვავებაა, ერთ საკითხზე ორივე მხარე დეკლარაციულ დონეზე მაინც თანხმდება - ეს არის ნატო-ში ინტეგრაციის აუცილებლობა. მზად ვართ, მომავალ ხელისუფლებას გამოცდილება გავუზიაროთ, რათა ეს პროცესი გაგრძელდეს," - ამბობს გიორგი კანდელაკი.

საფრთხე მოგებულთათვის და წაგებულთათვის

პირველი გვერდიდან

"ევროკავშირი საქართველოს ფინანსურ დახმარებასაც გააგრძელებს, რაც ქვეყნისთვის 670 მილიონი ევროს გამოყოფას გულისხმობს. თანხის ნაწილი უშუალოდ ბიუჯეტის დახმარებაზე დაიხარჯება, ნაწილი - კონკრეტული პროექტების განხორციელებაზე. გარდა ამისა, გაგრძელდება ჩვენი თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებებით, მაგალითად, სასამართლოს დამოუკიდებლობის და ეფექტურობის გასაზრდელად, ასევე ციხის რეფორმის, სოფლის მეურნეობის და რეგიონული პროექტების განსახორციელებლად," - აღნიშნა ფილიპ დიმიტროვმა, რომელიც კონფერენციაზე სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას და კონფლიქტების თემასაც შეეხო.

"თუ ახალი ხელისუფლების მოსაზრებები ჩვენს მოლოდინებს დაემთხვევა, მაშინ ჩვენი თანამშრომლობა კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებითაც პროდუქტიული იქნება," - დასძინა თავის გამოსვლაში დიმიტროვმა.

"დარწმუნებულნი ვართ, საქართველო კარგ ხელშია, - განაცხადა კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა, **- 2012 წლის ოქტომბერი აღბათ საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც მნიშვნელოვანი გარდაქმნების მომენტი, რადგან ჩატარდა კონკურენტული არჩევნები, იქმნება ახალი მთავრობა, რომელიც უფლებამოსილებას მალე აიღებს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა აჩვენა სამოქალაქო და სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე. დარწმუნებული ვარ, რომ ძალაუფლების გადაცემის პროცესი პროფესიონალურად გაგრძელდება."** რიჩარდ ნორლანდმა საქართველოს პოლიტიკურ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების როლზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ქართულმა არასამთავრობო სექტორმა თავისი მნიშვნელოვანი ფუნქცია წარმატებით შეასრულა.

არჩევნების შემდეგ არსებული მდგომარეობის შესახებ საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს ქვეყნის მთავარი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმაც. "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ამ შეხვედრაზე გიორგი ბარამიძე წარმოადგენდა, რომელმაც უკვე ოპოზიციაში გადასული პარტიის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

"ვაპირებთ, ძალიან აქტიური და კონსტრუქციული ოპოზიცია ვიყოთ. ეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება. ჩვენ ძალიან პრინციპულები ვიქნებით, როცა ამის აუცილებლობა დადგება და ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას შეექმნება საფრთხე და ამავე დროს მხარში დავუდგებით ხელისუფლებას კარგ საქმეებში. ეს დემოკრატიული პროცესებისათვის აუცილებელია," - განაცხადა ბარამიძემ. მან ასევე ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტთან შეხვედრის დროს გაკეთებული განცხადების გამო გააკრიტიკა. ბარამიძემ იმედი გამოთქვა, რომ "ქართული ოცნება" და მისი ლიდერი საარჩევნო ემოციებიდან სწრაფად გამოვლენ და პოლიტიკურ ძალებს შორის კონსტრუქციული დიალოგი დაიწყება.

"ქართული ოცნების" წარმომადგენელმა დავით უსუფაშვილმა კი არჩევნების შემდეგ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ასე შეაფასა: **"არჩევნების შემდეგ გარკვეული საფრთხეები არსებობს ორივე პოლიტიკური ძალისთვის. მაგალითად, გამარჯვებულ ძალას ემუქრება საფრთხე, მოისხას მორალისტი ინკვიზიტორის მანტია, რადგან ძალიან ბევრი ქონებაა მოპარული და ამის გამო შესაძლოა, თვალი რევანშისკენ გაგვექცეს. ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა დავუშვათ. ფაქტია ისიც, რომ თუ ახალმა ხელისუფლებამ ძველ დანაშაულებზე რეაგირება არ მოახდინა, გამოდის, რომ ის საზოგადოებამ ტყუილად აირჩია. თუმცა, კონკრეტული დარღვევები ჩვენი გადაწყვეტილი არ უნდა იყოს და ეს საკითხები დამოუკიდებელმა სასამართლომ უნდა განიხილოს. ამავე დროს, "ნაციონალურ მოძრაობას" არ უნდა მიეცეს საშუალება, წამებული დემოკრატის მანტია მოისხას. არც ამის დაშვება იქნება სწორი, რადგან წლების განმავლობაში პოლიტიკური პროცესი, რომელიც ამ ქვეყანაში მიმდინარეობდა, უკიდურესად მძიმე იყო. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ სახელმწიფო ძალაუფლება პოლიტიკისგან გავმიჯნოთ. ასეთი ფორმატის დამკვიდრებას ჭეშმარიტად მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბება სჭირდება, ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ "ქართული ოცნება" პარლამენტში რამდენიმე ფრაქციით იქნება წარმოდგენილი."** პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის განცხადებით, "ქართული ოცნების" სამოქმედო პროგრამის ქვაკუთხედი დემოკრატიის განვითარებაა.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, კონფერენციის მსვლელობისას "ნაციონალური მოძრაობის" და "ქართული ოცნების" წარმომადგენლები ერთნაირად აღნიშნავდნენ, რომ ორივე პარტიის სამოქმედო გეგმის მთავარი ნაწილი ევროკავშირთან თანამშრომლობა და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური ურთიერთობა იქნება.

განმეორებითი კენჭისყრის შედეგები ცნობილია

პარლამენტში კოალიცია "ქართული ოცნება" 85 დეპუტატს შეიყვანს: 44-ს პროპორციული სიით და 41 მაჟორიტარს, ხოლო "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 65-ს: 33-ს პროპორციული სიით და 32 მაჟორიტარს.

ეს შედეგები მაჟორიტარული სისტემით განმეორებითი კენჭისყრის შემდეგ გახდა ცნობილი, რომელიც 14 ოქტომბერს სიღნაღის, ხაშურის და გორის 11 უბანზე გაიმართა. სამივე ოლქში უპირატესობა "ქართული ოცნების" კანდიდატებმა მოიპოვეს.

სიღნაღში განმეორებითი კენჭისყრა მხოლოდ ერთ - N5 უბანზე ჩატარდა, სადაც "ქართული ოცნების" კანდიდატმა გელა გელაშვილმა 356 ხმა მიიღო (86 პროცენტი), ხოლო "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატმა ლევან ბეჟაშვილმა 86 ხმა (14.03 პროცენტი). საუბნო კომისიამ 10 ბიულეტენი ბათილად ცნო. სულ კენჭისყრაში 623 ამომრჩეველი მონაწილეობდა. ცესკო-ს სპიკერ ეკატერინე აზარაშვილის თქმით, ეს უბანი გადამწყვეტი იყო უბნის შედეგების გაუქმებამდე, სიღნაღის ოლქში ბეჟაშვილი ლიდერობდა, მას 48. 39 პროცენტი ჰქონდა, გელშვილს კი - 47.53 პროცენტი.

კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გელა გელაშვილი სიღნაღის #5-ე საარჩევნო უბანზე დაფიქსირებულ შედეგს ამომრჩევლის ზეწოლისგან გათავისუფლებით ხსნის. ამის შესახებ ჟურნალისტებს გელაშვილმა ხმების დათვლის პროცედურის დასრულების შემდეგ განუცხადა. მისი თქმით, მთელ ნინასაარჩევნო პერიოდში "ნაციონალური მოძრაობა" ამომრჩეველზე ზეწოლას ახორციელებდა და რომ არა ეს ზეწოლა, შედეგი გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა.

ხაშურის ცხრა უბანზე რეგისტრირებულ 10.381 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო, დაახლოებით, 28 პროცენტმა - 2 929 ადამიანმა. აქედან 91.8 პროცენტმა მხარი "ქართული ოცნების" კანდიდატ ვალერი გელაშვილს დაუჭირა. "ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სერგო ქიტიაშვილს (მან განმეორებით კენჭისყრამდე კანდიდატურა მოხსნა) კი უბნებზე მისული ამომრჩევლების 112 ხმა (4 პროცენტი) ერგო.

საარჩევნო პროცესმა ხაშურში მშვიდ გარემოში, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. საოლქო კომისიის ხელმძღვანელ იმედო ლაცაბიძის განცხადებით, არჩევნების პროცესი დარღვევების გარეშე მიმდინარეობდა და შედეგების გასაჩივრების არანაირი საფუძველი არ არსებობს. დაფიქსირდა დარღვევის მხოლოდ ერთი ფაქტი - სარეგისტრაციო ფურცელზე ერთ-ერთი ამომრჩევლის ხელმოწერა კომისიის წევრის ხელმოწერით არ იყო დამოწმებული, თუმცა ეს ერთი ხმა, სავარაუდოდ, გაბათილდება.

№32 გორის საარჩევნო ოლქის №4 საარჩევნო უბანზე 14 ოქტომბრის კენჭისყრის შედეგად ხმები ასე გადანაწილდა: "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს მალხაზ ვახტანგაშვილს ხმა მისცა 397-მა ადამიანმა (92 პროცენტი), ხოლო "ნაციონალების" კანდიდატ გიორგი ტატიშვილს მხარი დაუჭირა 32-მა ამომრჩეველმა (7 პროცენტი).

სიღნაღის, გორისა და ხაშურის ოლქებში, 11 უბანზე, ამომრჩეველთა აქტივობამ 32 პროცენტი შეადგინა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, განმეორებითმა კენჭისყრამ განსაკუთრებული დარღვევების გარეშე ჩაიარა. სამი ოლქის 11 უბანზე განმეორებითი კენჭისყრა არჩევნების დღეს დაფიქსირებული დარღვევების გამო დაინიშნა. გაბათილებულ უბნებზე კენჭისყრის განმეორებით ჩატარების განკარგულება ცესკო-მ 10 სექტემბრის სხდომაზე მიიღო.

ოლქების მიერ არჩევნების შედეგების შეჯამების შემდგომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელ ოქმს ცენტრალური საარჩევნო კომისიაც გამოაქვეყნებს. ცესკო-ს მიერ შედეგების წარდგენის ბოლო ვადა 20 ოქტომბერია.

საპარლამენტო არჩევნები 1-ელ ოქტომბერს გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო 2 150 197-მა ამომრჩეველმა. ამომრჩეველთა 54.97 პროცენტმა "ქართულ ოცნებას" დაუჭირა მხარი, ხოლო 40.34 პროცენტმა - "ნაციონალურ მოძრაობას".

საქართველოს პარლამენტში 150 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი. დეპუტატთა რაოდენობა ცესკო-მ შესაბამისი ფორმულის მიხედვით დათვალა: პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა 77-ზე გადაამრავლა და ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამზე გაყო.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ოპოზიციური "ნაციონალური მოძრაობა" ძველ გენერალურ მდივანს იბრუნებს

პირველი გვერდიდან

როგორც პარტიის წევრები ამბობენ, დავით ბაქრაძეს ყველა თვისება გააჩნია, რათა საპარლამენტო უმცირესობას ჩაუდგეს სათავეში. ფრაქციების თავმჯდომარეთა ვინაობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ამასთან, "ნაციონალურ მოძრაობას," როგორც ბარიერგადალახულ სუბიექტს, ერთი ვიცე-სპიკერი ეყოლება. მოქმედი პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ყველანაირ საპარლამენტო თანამდებობაზე უარს ამბობს. მისივე თქმით, საზოგადოება "ნაციონალური მოძრაობიდან" რაც შეიძლება მეტ ახალ პოლიტიკურ ფიგურას იხილავს და ფრაქციების წინა ფლანგებზეც ისინი იქნებიან.

"ნაციონალური მოძრაობის" სიის პირველმა ნომერმა დავით ბაქრაძემ გუშინდელ პრეზენტაციაზე განმარტა, რომ ფრაქციების ჩამოყალიბების მიზანია, უფრო მეტი საპარლამენტო ბერკეტი ჰქონდეთ. **"საპარლამენტო მუშაობის კონიუნქტურიდან გამომდინარე, ოპოზიციას პარლამენტში გამოსვლებისთვის მეტი დრო და ბიუროს სხდომებზე მეტი ხმა სჭირდება. იმისთვის, რომ "ნაციონალურ მოძრაობას", როგორც ოპოზიციურ პარტიას, პარლამენტში უფრო სრულფასოვანი მუშაობის საშუალება ჰქონდეს, რამდენიმე ფრაქციას ჩამოაყალიბებს,"** - აღნიშნა დავით ბაქრაძემ. მისივე თქმით, საზოგადოება დეტალებისა და კონფიგურაციის შესახებ ინფორმაციას მოგვიანებით შეიტყობს.

"ნაციონალური მოძრაობის" წევრმა პეტრე ცისკარიშვილმა "24 საათს" უთხრა, რომ რამდენიმე ფრაქციის ჩამოყალიბება უფრო საორგანიზაციო საკითხია, ვიდრე პოლიტიკური.

პარლამენტში მუშაობის გეგმებთან ერთად, "ნაციონალური მოძრაობა" პარტიის განახლებაზე აკეთებს აქცენტს. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც ამავდროულად "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარეა, პარტიის ცენტრალურ ოფისში პარტიის მომავალ გეგმებზე ისაუბრა. მისი თქმით, პარტიისთვის განახლებისა და ახალი ეტაპის დაწყების ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი იწყება.

მიხეილ სააკაშვილმა შეხვედრაზე ისიც აღნიშნა, რომ "ნაციონალურ მოძრაობაში" ბოლო პერიოდში ბევრი ადამიანი წევრიანდება. **"პარტიაში გვჭირდება ახალი ხალხი, განახლება, ახალი სისხლი. ჩვენ გვჭირდება ყველა ასაკის ადამიანი და მათ შორის ახალგაზრდები,"** - თქვა სააკაშვილმა პარტიის წევრების წინაშე სიტყვით გამოსვლისას. მას მიაჩნია, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მთავრობა შექმნა. **"ჩვენ შევძელით ის, რითიც ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ძალიან ამაყობდა და რასაც დანარჩენი მსოფლიო ძალიან აფასებდა. ჩვენთვის, როგორც პარტიისთვის, ეს უნდა იყოს გაწმენდის, განახლების, ახალი ეტაპის დაწყების ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი. დარწმუნებული ვარ, "ნაციონალური მოძრაობა" შეინარჩუნებს სიძლიერეს და გადამწყვეტ როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილმა იმ პოზიციის შესახებაც ისაუბრა, რომელზეც "ნაციონალური მოძრაობა" 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აღმოჩნდა. მისი თქმით, "ნაციონალური მოძრაობის" ამოცანა ახალი მთავრობისთვის ხელშეშლა არ არის.

"დღეს მივიღეთ სისტემა, როცა პარლამენტში ორი ძლიერი პარტია შევიდა. საქართველოს საპარლამენტო ცხოვრებაში ასეთი კონფიგურაცია პირველად ჩამოყალიბდა. ამიტომ ეს სწორად უნდა გამოვიყენოთ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბერკეტი გვქონდა, რათა ძალოვანი მინისტრები და სხვადასხვა დონის უწყებებში გავლენა შეგვენარჩუნებინა, პრაქტიკულად ყველაფერი, რისი გადაბარებაც აღმასრულებელი ხელისუფლებიდან შეიძლებოდა, საქართველოს იმ მთავრობას გადავეცით, რომელიც ჩამოყალიბდება. ჩვენ მას არა მარტო ბევრ ბერკეტს, არამედ ყველაზე დიდ საბიუჯეტო რესურსს ვუტოვებთ, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიას ოდესმე ჰქონია. ესაა მთავრობის წესიერი, ხელდაკაპიწებული მუშაობის შედეგი. ჩვენ შევქმენით სისტემა, რომლითაც ყველაფერი ხმარდებოდა სახელმწიფოს და ბიუჯეტს. ამასთან, ჩვენ ვუტოვებთ შემდეგ მთავრობას ძალიან კარგად ფუნქციონირებად ინსტიტუტებს, ძალიან კარგ ინფრასტრუქტურას, ამიტომ მათ ეს ყველაფერი უნდა გამოიყენონ თავიანთი დაპირებების შესასრულებლად და იმ მოლოდინების დასაკმაყოფილებლად, რომელიც ქართველ ხალხს გაუჩნდა," - განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

ვანო მერაბიშვილი ძველი ამპლუით

სააკაშვილსა და პარტიის წევრებს შორის გამართული თათბირის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" საკადრო ცვლილებაც დაგეგმა. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა პარტიის ოფისი დატოვა, დავით ბაქრაძემ, პარტიის მრავალი ცნობილი ფუგურის თანდასწრებით, პარტიის ახალ გენერალურ მდივნად ვანო მერაბიშვილი დაასახელა. იგი "ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი ერთხელ უკვე იყო - ვარდების რევოლუციამდე. დავით ბაქრაძემ აღნიშნა, რომ გენერალურ მდივნად ვანო მერაბიშვილის დანიშვნას ფრაქციაც და პოლიტსაბჭოც ერთსულოვნად დაეთანხმა. **"ვანო მერაბიშვილი "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი დამფუძნებელია და მას ამ პარტიის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის,"** - აღნიშნა ბაქრაძემ. მან იმედი გამოთქვა, რომ ვანო მერაბიშვილი "ნაციონალური მოძრაობის" მდივნად ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც აქამდე იყო ყველა თანამდებობაზე. ბაქრაძემ მიხეილ მაჭავარიანს მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

ვანო მერაბიშვილმაც სიტყვა "ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი გენერალური მდივნების - მიხეილ მაჭავარიანისა და ზურაბ მელიქიშვილისთვის მადლობის გადახდით დაიწყო.

მერაბიშვილის განცხადებით, უნდა შეიქმნას ახალი, თანამედროვე პარტია, რადგან ამ წლების განმავლობაში ბევრი რამ, მათ შორის საზოგადოება, შეიცვალა. **"ნაციონალური მოძრაობა" საფუძველს ჩაუყრის საქართველოში მყარი დემოკრატიის შექმნას. "ნაციონალურმა მოძრაობამ" ახალი სახელმწიფო შექმნა, ახლა მისი ამოცანაა ახალი ტიპის ოპოზიციური მოძრაობის ჩამოყალიბება. ჩვენი მიზანი და ამოცანა, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში დაბრუნება იქნება,"** - ამბობს ვანო მერაბიშვილი.

მიხეილ მაჭავარიანი ვანო მერაბიშვილს გამოცდილ მენეჯერად ახასიათებს. მაჭავარიანმა "24 საათთან" საუბარში თავისი საქმიანობაც შეაფასა. **"წარმატებულად რომ მემუშავა, პარტიას არჩევნებში უნდა გაემარჯვა. ბუნებრივია, მუშაობას ძალიან დიდ დროს ვუთმობდი, მაგრამ დღეს ჩვენ არჩევნებში მხოლოდ მე-2 ადგილზე გასული პარტია ვართ,"** - თქვა მაჭავარიანმა.

"ნაციონალური მოძრაობის" დამარცხების მიზეზებზე "24 საათი" პარტიის წევრ დავით დარჩიაშვილს ესაუბრა. როგორც დარჩიაშვილი ამბობს, ამ საკითხზე მსჯელობა გრძელდება. **"ხელისუფლებას ყოველთვის ერთგვარი ხიბლი და მოდუნება ახასიათებს. ხელისუფლებაში ყოფნისას პარტიული საქმიანობა, შეიძლება, ყოველთვის ისეთი აქტიური არ იყო, როგორც ახლა არის საჭირო. პარტიის ძირითადი ბირთვი ხელისუფლებაში იყო გადასული. მათთვის მთავარი საქმეს სამინისტროები და საკანონმდებლო საქმიანობა წარმოადგენდა. პარტია, როდესაც მმართველია, ძირითად ენერგიას სახელმწიფოებრივ საქმიანობას ახმარს და პარტიულ მუშაობას ნაკლები ყურადღება ეთმობა,** - ამბობს დავით დარჩიაშვილი, - **ბევრი ენთუზიასტი ახალი ადამიანი მოდის. როგორ დავხვდებით მათ, როგორ შევძლებთ მათთვის საქმიანობის და თავის წარმოჩენის შესაძლებლობის მიცემას. დადგა დრო, როდესაც სახელმწიფოს მართვის ნაცვლად, პოლიტიკით დავკავდებით."**

მინისტრობის კანდიდატის ძმას საპროცესო გარიგება გაუფორმდა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრობის კანდიდატ სოზარ სუბარის ძმა ვახტანგ სუბელიანი პატიმრობიდან გათავისუფლდა, მასაც, შს მინისტრობის კანდიდატ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრ თამაზ თამაზაშვილის მსგავსად, პროკურატურამ საპროცესო გარიგება გაუფორმა.

ვახტანგ სუბელიანის ადვოკატ ჭკადუას განცხადებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საპროცესო გარიგების დამტკიცების მოთხოვნით პროკურორმა მიმართა.

"საპროცესო გარიგების მიუხედავად, ვახტანგ სუბელიანს დანაშაული არ უღიარებია. საპროცესო შეთანხმება მხოლოდ სასჯელის ნაწილში გაფორმდა. ვახტანგ სუბელიანს თავისუფლების 5 წლით აღკვეთა და 60 ათასი ლარის გადახდა ჰქონდა დაკისრებული. საპროცესო შეთანხმებით, პროკურატურამ მოითხოვა, რომ შეთანხმება ბრალის აღიარების გარეშე გაფორმებულიყო. მას მოხდილი სასჯელი აკმარეს და გაათავისულეს," - განაცხადა ირმა ჭკადუამ.

სოზარ სუბელიანის ძმა ანგარიშფაქტურების გაყალბების ბრალდებით 2010 წლის 26 ოქტომბერს დააკავეს და 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

"ქართულ სამართლებრივ სივრცეში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი დარჩება პრინციპის - "თავისუფლება ფულის სანაცვლოდ" გარეშე," - ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილმა ეკა ბესელიამ. ბრალდებულთან, რომელსაც ჩადენილი დანაშაული მტკიცებულებებით უდასტურდება, საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით და ყოველგვარი თანხის გადახდის გარეშე უნდა დაიდოს.

გარდა ამისა, ახალი ხელისუფლება ამზადებს მასშტაბური ამნისტიის პროექტს, რომელიც იმ მსჯავრდებულებს შეეხებათ, რომელთა პატიმრობაში ყოფნა სასჯელის მიზანს არ ამართლებს და რომელთა გათავისუფლებაც საზოგადოებრივად საშიში არ არის. ეკა ბესელიას განცხადებით, აქცენტი გაკეთდება ნაკლებად მძიმე ტიპის სასჯელებზე, ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებზე, მსჯავრდებულებზე, რომელთაც სასჯელის ნახევარი ან ნახევარზე მეტი უკვე მოიხადეს. აქცენტი გაკეთდება ქალ და არასრულწლოვან პატიმრებზე. ბესელიას თქმით, ამნისტია არ შეეხებათ ისეთი მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს, როგორიცაა მკვლელობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება და ასე შემდეგ.

მაღაროელები გაიფიცნენ

ჭიათურაში მაღაროელები სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და ხელფასების მომატების მოთხოვნით გაიფიცნენ. ჭიათურის "ქართული ოცნების" გამარჯვებული მაჟორიტარის მალხაზ წერეთლის თქმით, მუშები გუშინ გაიფიცნენ. გაფიცულია 400 მუშა, თუმცა, როგორც წერეთელი ამბობს, მათ რიგებს კიდევ ემატებიან.

"მაღაროელების მთავარი მოთხოვნაა უსაფრთხოებისა და შრომის პირობების გაუმჯობესება, ასევე მთავარი მოთხოვნაა ხელფასების გაზრდა. მაღაროელებს უმძიმეს პირობებში უწევთ მუშაობა, დღესაც ისევე მუშაობენ, როგორც მე-19 საუკუნეში, რის გამოც გადაიარაღებასაც ითხოვენ. "ჯორჯიან მარგანეზის" ხელმძღვანელობა მუშების მოთხოვნების გაცნობის მიზნით მათთან იმყოფებოდა. ახლა უცხოელ პარტნიორებს ელოდებიან, რის შემდეგაც სამუშაო შეხვედრა გაიმართება მუშების პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. ამ ეტაპზე საწარმოს დიდი ნაწილი გაჩერებულია, მხოლოდ რამდენიმე ქარხანა მუშაობს," - ამბობს მალხაზ წერეთელი.

გაფიცული მაღაროელების 15 მოთხოვნიდან საწარმოს ხელმძღვანელობას უმრავლესობა გადაწყვეტილი აქვს. "ჯორჯიან მარგანეზის" პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესი ერთ საათზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. მუშების პრეტენზიების განხილვისას კი აღმოჩნდა, რომ მათი დიდი ნაწილი უკვე მოგვარებულია.

"მაგალითად, ყველა მაღაროელს აქვს დაზღვევა და ეტაპობრივად ურიგდებათ სადაზღვევო პოლისები. შრომითი ხელშეკრულებებიც უმრავლესობასთან გაფორმებულია. რაც შეეხება შრომის უსაფრთხოებას, ეს პრობლემაც გადაჭრილია და მუშები ასევე ეტაპობრივად იღებენ ტანისამოსსა და ფეხსაცმელს, რადგან მაღაროელების რაოდენობიდან გამომდინარე, ამის ერთ დღეში გაკეთება შეუძლებელია. მუშების სასარგებლოდ გადაჭრილია ტექნიკური გადაიარაღების საკითხიც," - აცხადებენ საწარმოში. რაც შეეხება მაღაროელების მთავარ მოთხოვნას, რომელიც ხელფასების მატებას ეხება, საწარმოს ადმინისტრაციაში ამაზე პასუხი არა აქვთ.

"ჯორჯიან მარგანეზი" ჭიათურაში, დაახლოებით, 6 თვის წინათ შემოვიდა. "საწარმოში ჩვენ საკმაოდ მძიმე მდგომარეობა დაგვხვდა. ამ პერიოდის განმავლობაში საწარმოში ბევრი რამ გაკეთდა. ერთადერთი, რაზეც ვერ გიპასუხებთ, ხელფასების მომატების საკითხია. ამჟამად გენერალური დირექტორი და ინვესტორი მსჯელობენ, რისი გაკეთება შეიძლება," - ამბობენ "ჯორჯიან მარგანეზის" პრესსამსახურში.

გაფიცული მაღაროელები ადმინისტრაციის შენობაში შეიჭრნენ, თუმცა შენობა მას შემდეგ დატოვეს, რაც ცნობილი გახდა, რომ მაღაროელებთან შესახვედრად "ჯორჯიან მარგანეზის" გენერალური დირექტორი უკრაინიდან ჩამოვა.

"ჯორჯიან მარგანეზში" დასაქმებული მუშების საშუალო ანაზღაურება 250-დან 300 ლარამდე მერყეობს. მაღაროში ყველაზე რთულ სამუშაოდ მიჩნეული - გვირაბის გამყვანის ანაზღაურება კი 600 ლარს შეადგენს.

"პენსიის გაზრდა ბიუჯეტზეა დამოკიდებული"

ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ მოსახლეობაში ორი დიდი მოლოდინია: იქნება თუ არა ხელმისაწვდომი ბაზისური სამედიცინო მომსახურება და გაიზრდება თუ არა პენსიები. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრობის კანდიდატ ამირან გამყრელიძის განცხადებით, ამის შესრულება დამოკიდებულია 2013 წლის ბიუჯეტზე. **"პენსიების გაზრდის საკითხი 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე არ განიხილება. პირადად ბიძინა ივანიშვილთან მქონდა შეხვედრა და განვიხილეთ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ის ღონისძიებები, რომელიც** "ქართული ოცნების" საპროგრამო დოკუმენტშია გაცხადებული," - განაცხადა შეხვედრიდან გამოსულმა ამირან გამყრელიძემ

საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციური კოალიცია "ქართული ოცნება" მოსახლეობას მინიმალური პენსიის 220 ლარამდე გაზრდას ჰპირდებოდა. **"ყველა პენსიონერს მინიმალური პენსია განესაზღვრება არანაკლებ საარსებო მინიმუმისა, ეს ნიშნავს იმას, რომ დღესვე ეს რეფორმა რომ განხორციელდეს, პენსიონერს არანაკლებ 220 ლარიანი პენსია ექნებათ,"** - ეს განცხადება ამჟამინდელმა თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ ჯერ კიდევ მაისში, ზუგდიდის აქციაზე გააკეთა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, დღეს საქართველოში საპენსიო ასაკის 669 663 პირია რეგისტრირებული.

რაც შეეხება დაზღვევის ხელმისაწვდომობას, როგორც გამყრელიძე აცხადებს, ბუნებაში უფასო არაფერი არსებობს და დაზღვევის შემთხვევაში თანხას იხდის ან სახელმწიფო, ან თავად ადამიანი.

"მინდა, მკაფიოდ განვაცხადო ერთი პოსტულატი: 20 წლის განმავლობაში დღეს პირველად ხდება ჯანმრთელობა ქვეყნის პოლიტიკური პრიორიტეტი. 20 წლის განმავლობაში რა პროგრამებიც იწერებოდა, არასდროს ენიჭებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობას მაღალი პრიორიტეტი. დღეს კი "ქართული ოცნების" საპროგრამო დოკუმენტში სამ მთავარ პრიორიტეტს შორის მოსახლეობის ჯანმრთელობა ერთერთი უპირველესია. პრიორიტეტულობა გამოიხატება იმით, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო ამ დარგზე. მსოფლიო დღეს უნივერსალიზაციისკენ მიდის, ანუ ყველა ადამიანს, მიუხედავად მისი შემოსავლისა, ერთნაირად უნდა მიუწვდებოდეს ხელი სამედიცინო მომსახურებაზე," - განაცხადა გამყრელიძემ და აღნიშნა, რომ აქ მთავარია, ბიუჯეტი გაწვდება თუ არა ამ ხარჯებს.

როგორც გამყრელიძე განმარტავს, საბაზისო სამედიცინო მომსახურებისას (ამბულატორიული, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურეობა) არ უნდა იყოს თანამონაწილეობა. **"ბიუჯეტი გაწვდება თუ არა ამას, ამის გასაგებად არსებობს დადგენილი ციფრები. ამის მიხედვით განისაზღვრება ჯანდაცვის პრიორიტეტულობა ქვეყანაში. ჩვენი სახელმწიფო დღეს ჯანმრთელობის დაცვაზე გამოყოფს მშპ-დან 2.3 პროცენტს - ეს სახელმწიფო ბიუჯეტის 6 პროცენტია, მაშინ როცა ცენტრალურ ევროპულ ქვეყნებში ასეთი სურათია: მშპ-ს 6-7 პროცენტი და ბიუჯეტის, დაახლოებით, 12-15 პროცენტი. თუ ჩვენთან პოლიტიკური ნება იქნება, და ეს ნება უკვე გამოცხადებულია, მაშინ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ უკვე 2013 წელს ბაზისური სამედიცინო მომსახურება სრულად გვქონდეს მოცული,"** - აღნიშნა გამყრელიძემ.

რაც შეეხება უმუშევრობას, რამდენიმე დღის წინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრობის კანდიდატმა ამირან გამყრელიძემ რადიო "პალიტრის" ეთერში გააკეთა განცხადება, რომ აუცილებელია საქართველოში უმუშევრობის კომპენსაცია დაწესდეს. ამ განცხადების გაკეთებისას გამყრელიძეს უმუშევრობის კომპენსაციის ოდენობა არ დაუსახელებია და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე საუბარი მომავალში შედგება. "კერძოდ, ეს იქნება ერთგვარი უმუშევრობის დაზღვევა და საერთო სოციალური დაზღვევის ერთ-ერთი სეგმენტი."

გუშინ კი გამყრელიძე თავის განცხადებას შეეწინააღმდეგა და აღნიშნა, რომ **"უმუშევართა კომპენსაციაზე გავრცელებული ხმები ტყუილად ატეხილი აჟიოტაჟია, ასეთი რამ ჯერ არ იგეგმება."**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲯᲐᲖᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲩᲘᲙ ᲙᲝᲠᲔᲐ

ᲜᲘᲚᲡ ᲚᲐᲜᲓᲒᲠᲔᲜᲘ

ᲯᲔᲙ ᲓᲔᲯᲝᲜᲔᲢᲘ

დღეს ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ შორეულ 1978 წელს, საბჭოთა პერიოდის თბილისში ჯაზფესტივალი ჩატარდა, რომელშიც მთელი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული 23 ბენდი მონაწილეობდა. საკავშირო მასშტაბის, თუმცა უფრო მრავალფეროვანი და დახვეწილი იყო 1986 წლის ფესტივალი, ხოლო სამი წლის შემდგომ ჩატარებულმა ჯაზფესტივალმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა - ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში ამერიკელი და ევროპელი მუსიკოსები ჩამოვიდნენ, მათ შორის ფრედი ჰაბარდი, ჯიმი სმიტი, ლუთერ ელისონი, არტ ბლეიკი და სხვები. სამწუხაროდ, იმ დროინდელი პოლიტიკური ვითარების გამო თბილისის ჯაზფესტივალი ტრადიციად ვერ იქცა, თუმცა მხოლოდ დროებით - 2000 წელს კომპანია "ისტერნ პრომოუშენმა" თავიდან ამოქოქა ჯაზმანქანა და მას შემდეგ ფესტივალი ყოველწლიურად, გრანდიოზული მასშტაბითა და მსოფლიო ვარსკვლავების კაშკაშის ფონზე ტარდება.

ფესტივალის ისტორიისა და მისი აფიშისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, თუ რა როლს ასრულებს ის მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს ჩართვის პროცესში, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი საზოგადოების ჯაზის მიმართულებით გემოვნების განვითარებაზე. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ვნახეთ და მოვუსმინეთ ბობ მინცერს, ელ ჯეროს, დენის როლინზს, მარკუს მილერს, პი ვი ელისს, ერიკა ბადუს, ჰერბი ჰენკოკს, ჯგუფ "ჯემიროქუაის", ჯო კოკერს, ჯონ მაკლაფლინს, კრის ბოტის, ბობი მაკფერინს, მაიკლ ფრენკსს, ჯორჯ ბენსონს, რენდი ბრეკერს, ჯონ სკოფილდს, კურტ ელინგს, ჯგუფს Kool & The Gang, მაკოი ტაინერს, დაიან რივზს, რაშელ ფერელს, ჯგუფს Blues Brothers-ს, სონი ემორის, ლარი კორიელსა და უამრავ სხვას. ამას ემატება ბათუმის ჯაზფესტივალისა და ჯაზსერიის სტუმრების ნუსხა, თუმცა ეს სულ სხვა ისტორიაა...

თავისი ვარსკვლავები ეყოლება თბილისის მე-15 ჯაზფესტივალსაც, რომელიც როგორც საიუბილეო, ყველასგან გამორჩეული, აკადემიური და სუფთა ჯაზურია. ფესტივალი 20 ნოემბერს გაიხსნება და 25 ნოემბრამდე ოთხ საფესტივალო დღეს გააერთიანებს.

პირველი კონცერტის ვარსკვლავი მომღერალი დიდი ბრიჯუოთერია, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ჯაზშემსრულებლად მიიჩნევა. შარშანწინდელი ჯაზფესტივალის სტუმრებს უთუოდ ახსოვთ ორი შესანიშნავი ვოკალისტი ქალბატონის კონცერტი - დაიან რივზისა და რაშელ ფერელის ფანტასტიკური პერფორმანსი, რომლის ხასიათსაც ამჯერად დი დი ბრიჯუოთერი გააგრძელებს. ოთხი "გრემისა" და "ტონის" მფლობელი ბრიჯუოთერი ჯაზმუსიკოსის ოჯახში დენის გარეტის სახელით დაიბადა. ის მოზარდობის ასაკიდან მღერის, ახალგაზრდობაში კი ჯგუფ Goodrich-ის შემადგენლობაში გამოდიოდა, რომელთან ერთადაც საბჭოთა კავშირშიც იმოგზაურა. 80-იანი წლებიდან სოლო კარიერა დაიწყო, პერიოდულად კი მიუზიკლებშიც მონაწილეობდა. სულ მალე ევროპისა და ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო ვოკალისტის ტიტული დაიმსახურა, რასაც მალე მოჰყვა თანამშრომლობა რეი ჩარლზთან, რომელთანაც კომპოზიცია Precious Thing ჩაწერა (მოგვიანებით ეს სიმღერა დი დი ბრიჯუოთერის ალბომ Victim of Love-ში შევიდა). ბოლო "გრემი" დი დი ბრიჯუოთერმა 2010 წელს მიიღო ალბომისთვის Eleanora Fagan (1915—1959): To Billie with Love from Dee Dee Bridgewater. აღნიშნული ჩანაწერი ლეგენდარულ ბილი ჰოლიდეის ეძღვნება (ამ მომღერლის ნამდვილი სახელი სწორედ ელეანორა ფაგანი გახლდათ).

დი დი ბრიჯუოთერი თბილისში თავის ბენდთან ერთად ჩამოდის, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პიანისტი ედსელ გომესი, ბასისტი კენეტ დევისი, დრამერი კენი ფელპსი და საქსოფონისტი კრეიგ ჰენდი.

ცხადია, ბენდთან ერთად ჩამოდის 23 ნოემბრის გმირი ჯეკ დეჯონეტიც - თანამედროვე ჯაზის ერთ-ერთ საუკეთესო დრამერად აღიარებული მუსიკოსი, რომელიც "ნიუ იორკ თაიმსმა" უკანასკნელი 40 წლის წამყვან ჯაზმუსიკოსთა სიაში შეიყვანა. დრამერის კონცერტი ქართველმა მსმენელმა შარშან უკვე მოისმინა - სონი ემორის დრამის რიტმები ზოგს ალბათ ახლაც ჩაესმის, ამრიგად ჯეკ დეჯონეტის კონცერტისთვის შესანიშნავი ბეგრაუნდი არსებობს. დეჯონეტისა და მისი ბენდის კონცერტი ივენთ ჰოლში გაიმართება. აქვეა დაგეგმილი 24 ნოემბერის კონცერტიც, რომელზეც შვედი ტრომბონისტის, ნილს ლანდგრენის Funk Unit-ის ჯაზხელოვნებას მოვუსმენთ. ლანდგრენს საკმაოდ საინტერესო მუსიკალური ბიოგრაფია აქვს, უთანამშრომლია ვაიკლიფ ჯინთან, ჰერბი ჰენკოკთან, ედი ჰარისთან, The Crusaders-თან, ABBA-სთან და სხვა შემსრულებლებთან. ნილს ლანდგრენის შემოქმედების უდიდეს ნაწილს ფანკი იკავებს, ხოლო ჯგუფი Funk Unit 1995 წლიდან არსებობს.

ტრადიციულად თბილისის ჯაზფესტივალს გამორჩეული კონცერტი დახურავს და ამ საღამოს ჩიკ კორეას სახელი ერქმევა. ჯაზის ლეგენდა თბილისში ბასისტ კრისტიან მაკბრაიდთან და დრამერ ბრაიან ბლეიდთან ერთად ჩამოდის და სწორედ მათთან ერთად აპირებს ქართველის მსმენელის კიდევ ერთხელ აღფრთოვანებას. ჩიკ კორეას კი ჩვენი ჯაზმოყვარულები კარგად იცნობენ - ალბათ გახსოვთ 2006 წელს ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარებული კონცერი, რომელზეც ჩიკ კორეა ვიბროფონისტ გარი ბარტონთან ერთად წარსდგა და ჭეშმარიტად მუსიკალური სასწაული მოახდინა. იგივე გველის ამჯერადაც - ჩიკ კორეა ნამდვილად დახურავს!..

ასევე ტრადიციულია ისიც, რომ თბილისის ჯაზფესტივალს თიბისი სტატუსი წარმოადგენს, ხოლო მხარდამჭერები კულტურის სამინისტრო და თბილისის მერია არიან. როგორც ყოველთვის, მოქმედებს ფასდაკლების სიტემაც - ბილეთების TBC Platinum, TBC PrimeCard და TBC Status ბარათებით შეძენისას მოქმედებს ექსკლუზიური ფასი. ჯერჯერობით ცნობილი არაა, რა ეღირება ბილეთი, თუმცა "ისტერნ პრომოუშენის" ინფორმაციით, ფასი 50-70 ლარის ფარგლებში იქნება. ასევე ზუსტდება ისიც, თუ კონკრეტულად რომელი მუსიკოსი ჩაატარებს მასტერკლასს, რაც დამწყები ჯაზმუსიკოსებისთვის ნამდვილად კარგი საჩუქარი იქნება.

ᲘᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲛᲝᲓᲣᲚᲔᲑᲘᲡ:

- ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲖᲝ�გᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔ-7 ᲙᲚᲐᲡᲨᲘ (ᲘᲜᲢᲔ�გᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ) (2 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ)
- ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲖᲝ�გᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲐᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ (2 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ)
- ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲐᲨᲘ ᲖᲝ�გᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ (2 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ)
- ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲥᲘᲛᲘᲐᲨᲘ ᲖᲝ�გᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ (2 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ)
- ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲐᲨᲘ ᲖᲝ�გᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ (2 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ)

ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲔᲑᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲨᲐᲛᲐᲗᲐ-ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲡᲔᲜᲡᲝᲠᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘ SALiS - ᲘᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲒᲝᲠᲒᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ 1, ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ G (ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲔᲜᲙᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ)
ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ:
593 59 59 82, 577 41 52 42

ბელგიის მუნიციპალურ არჩევნებში ფლამანდიელმა ნაციონალისტებმა გაიმარჯვეს

პირველი გვერდიდან

მისმა ოპონენტმა, ქალაქის ადმინისტრაციის მოქმედმა ხელმძღვანელმა, სოციალისტმა პატრიკ იანსენმა კი ხმათა მხოლოდ 29 პროცენტის აღება შეძლო.

"ძალებმა, რომლებიც ცვლილებებს ემხრობიან, გაიმარჯვეს და ბრძოლას გავაგრძელებთ. ჩვენ გვსურს ფლამანდიელებს ისეთი მთავრობა მივცეთ, როგორსაც მოითხოვენ, ყველა დონეზე. სწორედ ამიტომ მოვუწოდებ ელიო დი რუპოს და ყველა ფრანკოფონ პოლიტიკოსებს, კარგად გაიაზრონ თავიანთი პასუხისმგებლობა და ჩვენთან ერთად მოემზადონ ფედერალური არჩევნებისთვის. ჩვენ დიდი ხანი მივაჩნდით მეწველ ძროხად და ეს უნდა დასრულდეს. ჩვენ მეტად აღარ მოვითმენთ ქვეყნის არაადეკვატურ ეკონომიკურ მმართველობას", - განაცხადა ბარტ დე ვევერმა.

საქმე ისაა, რომ ფლანდრიას სამეფოს ბიუჯეტში საკმაოდ დიდი წილი შეაქვს, ფრანგულენოვან ვალონიასთან შედარებით. ეს უკანასკნელი კი ხაზინიდან მნიშვნელოვან ფინანსურ ტრანსფერებს იღებს. ეს კი ფლამანდიელებისთვის, მით უფრო რადიკალურად და სეპარატისტულად განწყობილი ძალებისთვის, ერთ-ერთი მძლავრი არგუმენტია - ფლამანდიური ფულის გადაქაჩვა სამხრეთისკენ ხდება.

თუმცა ბელგიის პრემიერ-მინისტრმა ყველას მოუწოდა, თავი შეიკავონ შორსმიმავალი დასკვნების გაკეთებისგან და უარი განაცხადა მოლაპარაკებებზე "ახალ ფლამანდიურ ალიანსთან" ქვეყნის კონფედერაციად გადაქცევის საკითხზე. სახელმწიფოს კონფედერაციული მოწყობა ფლამანდიელი ნაციონალისტების ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა. თუმცა, ვევერის პარტიას არაერთხელ გამოუთქვამს ფლანდრიის დამოუკიდებლობის ინიციატივაც, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ფლამანდიურ ენაზე საუბრობს. რეგიონის გამოყოფის შემთხვევაში კი დიდია იმის შანსი, რომ ის ნიდერლანდებს დაუახლოვდეს, რომელთანაც ფლანდრიას კულტურული და ისტორიული ძაფები აკავშირებს. "გამარჯვებულმა მხარემ რამდენიმე ცალმხრივი განცხადება უკვე გააკეთა. ცხადია, ვაღიარებ "ახალი ფლამანდიური ალიანსის" წარმატებას არჩევნებში, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მათ შეუძლიათ მხოლოდ იმ მუნიციპალიტეტების მართვა, სადაც ამომრჩეველთა მხარდაჭერა მოიპოვეს, რაც შეეხება ფედერალურ დონეს მასთან საერთო არაფერი აქვს ჩატარებულ არჩევნებს", - აღნიშნა ბელგიის პრემიერ-მინისტრმა.

საერთო ჯამში, ფლანდრიის "ახალმა ფლამანდიურმა ალიანსმა" ამომრჩეველთა მესამედზე უფრო მეტის ნდობა მოიპოვა. დაახლოებით ასეთივე იყო პარტიის შედეგი 2010 წელს ჩატარებულ საერთო ეროვნულ არჩევნებში. მაშინ პრემიერის პოსტი დე ვევერს უნდა დაეკავებინა, მაგრამ "ალიანსის" მეტისმეტად ხისტმა და რადიკალურმა პოზიციამ შედეგად მხოლოდ ის გამოიღო, რომ ბელგიას დიდი დრო დაჭირდა სამთავრობო კრიზისიდან თავის დასაღწევად (დაახლოებით ერთი წელიწადი არ ჰყავდათ მთავრობა).

ეკონომიკური და ფინანსური მოსაზრებებით გამოწვეულ რადიკალურ მიდგომებს თუ გავითვალისწინებთ, ფლანდრიაში არჩევნების შედეგების პროგნოზირება ადვილი იყო, რასაც რამდენიმე დღით ადრე ადგილობრივი ანალიტიკოსებიც უსვამდნენ ხაზს. ბოლო დროს ფლანდრიაში მხოლოდ და მხოლოდ იზრდებოდა რადიკალური პოლიტიკური ძალების პოპულარობა. ბელგიის სამხრეთ ნაწილში, ფრანგულენოვან ვალონიაში თუ სენსაციის გარეშე ჩაიარა არჩევნებმა. იქ მხარდაჭერა მოქმედი პრემიერ-მინისტრის ელიო დი რუპოს სოციალისტურ პარტიას გამოუცხადეს. თუ ისტორია გარკვეულწილად მაინც გამეორდა და "ახალ ფლამანდიურ ალიანსს" მომავალ ფედერალურ არჩევნებში მხარდამჭერთა საკმარისი რაოდნეობა აღმოაჩნდა, კერძოდ, წინა არჩევნებთან შედარებით ცოტა მაღალი პროცენტული მაჩვენებლით, დე ვევერს შანსი აქვს, რომ გახდეს ბელგიის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი. თუმცა ამისთვის "ახალი ფლამანდიური ალიანსის" ლიდერსა და ანტვერპენის მერს ამომრჩეველთა 40 პროცენტის მხარდაჭერა მაინც სჭირდება. ფედერალური არჩევნები ბელგიაში 2014 წელს უნდა გაიმართოს.

"ედინაია როსია" ყველა რეგიონში დამაჯერებლად ლიდერობს

ივა შილაკაძე

რუსეთის რეგიონების დიდ ნაწილში კვირას სხვადასხვა დონის ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა. წინასწარი მონაცემების თანახმად, ფაქტობრივად ყველგან ლიდერობენ მმართველი "ედინაია როსიას" წარდგენილი კანდიდატები და პარტიული სიები. შედეგები იმაზე უკეთესიც აქვთ, ვიდრე ამ ზამთარში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე ჰქონდათ. მხოლოდ რამდენიმე პატარა დასახლებულ პუნქტში მოახერხეს გამარჯვება საინიციატივო ჯგუფების მიერ დასახელებულმა უპარტიო კანდიდატებმა.

ამჯერად არჩევნებამდე თითქმის ყველა მსურველი პარტია დაუშვეს, ადგილობრივ არჩევნებში, ცხადია - ყველგან არა, 32 პარტია მონაწილეობდა, თუმცა საარჩევნო ბარიერის გადალახვა მათმა უმრავლესობამ ვერ შეძლო. ორ-სამ რეგიონში დაფიქსირდა ახალი და ნაკლებად პოპულარული (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) პარტიების მიერ უჩვეულოდ მაღალი შედეგის მიღწევა. დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმა, ძირითადად, ისევ რუსული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, უამრავი სხვადასხვა დარღვევა დაფიქსირეს, რის შესახებაც ჩვენ გუშინდელ სტატიაში დაწვრილებით ვწერდით.

2005 წლის შემდეგ რუსეთში პირველად დაუშვეს გუბერნატორების არჩევნები და კვირას ოლქების ხელმძღვანელები ფედერაციის 5 სუბიექტში აირჩიეს. ყველგან თანამდებობები შეინარჩუნეს მოქმედმა გუბერნატორებმა. კერძოდ, ამურის, ბრიანსკის, რიაზანის, ბელგოროდის, ნოვგოროდის ოლქებში მათ პირველივე ტურში მოიგეს არჩევნები საკმაოდ მაღალი პროცენტებით (შესაბამისად 77,28; 66,05; 64,76; 77,85 და 75,95) არჩევნებამდე იყო ვარაუდი, რომ რიაზანის ოლქში, სადაც მოსკოვიდან გაგზავნილი გუბერნატორი არც ისე პოპულარულია, შეიძლებოდა დანიშნულიყო მეორე ტური, მაგრამ ხელისუფლებამ მოახერხა ამის "თავიდან აცილება". მოლაპარაკებების შედეგად კანდიდატურა მოახსნევინეს გუბერნატორ ოლეგ კოვალიოვის მთავარ კონკურენტს იგორ მოროზოვს (ეს ადგილობრივი პოლიტიკოსია, რომელსაც "ედინაია როსიას" წევრების ნაწილიც უჭერდა მხარს) და კომუნისტების წარმომადგენელმა უკვე "ლიდერს" კონკურენცია ვერ გაუწია. მოროზოვს სანაცვლოდ ფედერაციის საბჭოს წევრობას შეპირდნენ. თუმცა ხელისუფლებას მაინც "დასჭირდა" ქარხნებსა და საწარმოებში უკანონოდ სპეცუბნების შექმნა (90-პროცენტიანი შედეგებით) და "კარუსელების" დატრიალება.

წარმატებას მიაღწიეს მმართველი პარტიების წარმომადგენლებმა ადგილობრივი პარლამენტებისა და ქალაქების მერების არჩევნებშიც. შედარებით "მოკრძალებულია" მათი შედეგი უდმურტიაში 51,13 პროცენტი, სახალინის ოლქსა (50,21) და ოსეთში (41,9). მოულოდნელად მაღალი შედეგი აჩვენა ოსეთში პარტიამ "რუსეთის პატრიოტები" - 26,96 პროცენტი. ბარნაულში კი ბარიერი გადალახა და ქალაქის დუმაში მოხვდა ლიბერალური "რუსეთის რესპუბლიკური პარტია - პარნასი". საინიციატივო ჯგუფების მიერ დასახელებულმა დამოუკიდებელმა კანდიდატებმა (ზოგი მათგანი მაინც "ედინაია როსიას" ყოფილი წევრი და ყოფილი მერია, რომლებიც მმართველმა პარტიამ ასაკის გამო "ჩამონერა") მოახერხეს გამარჯვება პატარა ქალაქებში და სოფლებში კიროვის ოლქში, ზაბაიკალის მხარეში, კარელიაში (იქ ოთხი ასეთი დასახლებული პუნქტი დაფიქსირდა), იამალო-ნენეცის ავტონომიურ ოკრუგში, აგრეთვე, სვერდლოვსკისა და ჩელიაბინსკის ოლქებში.

ისევ ცალკე გამოვყოფთ მოსკოვის სატელიტ პატარა ქალაქ ხიმკის, სადაც კენჭს იყრიდა ადგილობრივი ეკოლოგიური მოძრაობის ლიდერი ევგენია ჩირიკოვა. მას, ფაქტობრივად, მთელი ლიბერალური ოპოზიცია უჭერდა მხარს. იქაც მოიგო "ედინაია როსიას" წარმომადგენელმა ოლეგ შახოვმა - 47,61 პროცენტი. ჩირიკოვას ხმების დაახლოებით 18 პროცენტამდე აქვს დაგროვებული. ქალაქ ხიმკიში ხელისუფლება აპირებდა "საჩვენებელი" არჩევნების გამართვას. თითო უბანზე 15-17 დამკვირვებელი იყო - უმრავლესობა ოპოზიციიდან - მაგრამ არ "გამოუვიდა". ძალიან ბევრგან იყო მოუწესრიგებელი სიები, ჟურნალების ნახევარი სადღაც იყო თავიდანვე გამქრალი (მათ ათობით გვერდი აკლდათ), ან შემდეგ ქრებოდა. ორ თუ სამ უბანზე ხმების დათვლის დროს დამკვირვებლები გამოყარეს, რის შესახებაც ვიდეოჩანაწერებიც არის. დაფიქსირებულია "კარუსელები" და სხვა წვრილმანი დარღვევებიც. ძნელია გადაჭრით იმის თქმა, რომ არჩევნები ხიმკიში მთლიანად გაყალბდა - შახოვის უპირატესობა ძალიან დიდია, მაგრამ სერიოზული ეჭვები რჩება.

"ედინაია როსიას" ფორმალური ლიდერი პრემიერ-მინისტრი დმიტრი მედვედევი შედეგებით კმაყოფილია. მისი სიტყვებით, არჩევნებმა კარგად ჩაიარა. ოპოზიცია ასე არ ფიქრობს. მათი აზრით, ხელისუფლებამ გაიმარჯვა მოსახლეობის უპრეცედენტოდ დაბალი აქტიურობის ხარჯზე - დაახლოებით 25-30 პროცენტი რეგიონების მიხედვით. ეს კი ხელისუფლების ოპონენტების სიტყვებით ნიშნავს, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს და მის "უალტერნატივო" ფავორიტს - "ედინაია როსიას."

გაერო: ავღანეთს თალიბებთან არაფორმალური მოლაპარაკებები სჭირდება

ავღანეთში გაერო-ს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა იან კუბისმა ავღანეთის ყველა პოლიტიკურ ძალასთან არაფორმალური დიალოგის დაწყების განზრახვის შესახებ გამოაცხადა, მათ შორის ანტისამთავრობო ძალებთანაც. კუბისის თქმით, პირველი შეხვედრა ამ წლის ბოლოსათვის უნდა შედგეს. "ბი-ბი-სის" ცნობით, ამ წლის დასაწყისში თალიბებთან ოფიციალური მოლაპარაკებები შეიარაღებული მებრძოლების უარის გამო ვერ შედგა.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკური ძალების არაფორმალური შეხვედრების ორგანიზების რამდენიმე მცდელობა განხორციელდა. ივლისში ავღანეთის საკითხზე ტოკიოში გამართულ კონფერენციაში თალიბების ორი გამოჩენილი ფიგურა მონაწილეობდა, ივნისში პარიზში გამართულ მსგავს ღონისძიებას კი ავღანეთის მთავრობისა და "თალიბების" წარმომადგენლები ერთად ესწრებოდნენ.

ლიბიას ახალი პრემიერი ჰყავს

ლიბიის ეროვნულმა კონგრესმა ალი ზიდანი ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრად აირჩია. ალი ზიდანმა, რომელიც არც ერთ პარტიას არ მიეკუთვნება, დეპუტატთა ხმების უმრავლესობა მიიღო. ზიდანმა ქვეყნის კონგრესს მინისტრთა კაბინეტის სია განსახილველად უახლოესი ორი კვირის განმავლობაში უნდა წარუდგინოს. ალი ზიდანი ევროპაში ლიბიის გარდამავლი მთავრობის წარმომადგენლად მუშაობდა. რამდენადაც ცნობილია, მან დიდი როლი შეასრულა საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის დარწმუნებაში, რომ ამ უკანასკნელს კადაფის წინააღმდეგ ამბოხებისათვის დაეჭირა მხარი.

სანქციების მიუხედავად, ამერიკის ექსპორტი ირანთან გაიზარდა

ამერიკის მიერ დაწესებული მკაცრი სანქციების მიუხედავად, ამ წელს ამერიკის ექსპორტი ირანში მესამედით გაიზარდა. როგორც აღნიშნავენ, ექსპორტის ზრდა, ძირითადად, მარცვლეულით ვაჭრობის ხარჯზე მოხდა. ამერიკამ და ევროკავშირმა (ასევე მათმა მოკავშირე რამდენიმე სახელმწიფომ) ირანის მიერ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის შესაჩერებლად ამ ქვეყნის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები დააწესეს. დასავლეთი შიშობს, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს. ირანი, თავის მხრივ, ირწმუნება, რომ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება.

ამ დროისათვის ამერიკა ირანთან უმთავრესად ხორბლითა და მარცვლეულით ვაჭრობს. მიუხედავად იმისა, რომ მარცვლეულისა გარდა ამერიკა ქვეყანას მედიკამენტებსა და სხვა პროდუქტებსაც აწვდის, რომ არა მარცვლეულით ვაჭრობა, ამერიკის ექსპორტი ირანთან კიდევ უფრო დაიკლებდა.

პაკისტანის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე თავდასხმას 6 პოლიციელი ემსხვერპლა

პაკისტანის ხელისუფლების განცხადებით, ქვეყნის ჩრდილოეთით, ქალაქ ფეშევართან საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე თავდასხმას 6 პოლიციელი ემსხვერპლა. ათმა შეიარაღებულმა მებრძოლმა პოლიციას ავტომატიდან გაუხსნა ცეცხლი. ბოლო პერიოდში პაკისტანელი თალიბების მიერ ორგანიზებული თავდასხმები პოლიციელებსა და სამხედროებზე გახშირდა.

ფილიპინების ხელისუფლებამ და ისლამისტებმა სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმეს

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ქვეყნის ხელისუფლებამ და უმსხვილესმა ისლამისტურმა ორგანიზაციამ "მოროს ისლამისტურმა გამთავისუფლებელმა ფრონტმა" სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ცენტრალურ ხელისუფლებასა და სეპარატისტებს შორის კონფლიქტი 40 წელზე მეტი გრძელდებოდა და 120 000 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა (ამ შეთანხმების პრინციპულად მიღწევის შესახებ რამდენიმე დღის წინ წერდა "24 საათი"). ხელშეკრულების მიხედვით, 2016 წლისათვის ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, კუნძულ მინდანაოზე ახალი ავტონომია შეიქმნება. ეს ძირითადად მუსულმანებით დასახლებული რეგიონი იქნება ქვეყანაში, სადაც უმრავლესობას კათოლიკები წარმოადგენენ. მოსამზადებელია საკანონმდებლო ბაზა და უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ დოკუმენტი. ქვეყნის პრეზიდენტმა ბენინიო აკინომ ადრე აღიარა, რომ წინა მცდელობამ, შეექმნათ მსგავსი ავტომონია, "არ გაამართლა."

თურქეთმა სომხური თვითმფრინავიც აიძულა, არზრუმში დაფრენილიყო

თურქეთმა სომხური სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც სირიის ქალაქ ალეპოში მიფრინავდა, აიძულა, ქალაქ არზრუმის აეროპორტში დაფრენილიყო. სომხური წყაროს ცნობით, თვითმფრინავის ბორტზე ჰუმანიტარული ტვირთი იყო მოთავსებული. სომხური პარტია "დაშნაკცუთიუნის" წარმომადგენლის ლილიტ გალსტიანის თქმით, თვითმფრინავს ალეპოში სომხური დიასპორისათვის დახმარება გადაჰქონდა.

თურქეთის ხელისუფლების განცხადებით, თუ ტვირთის შემოწმების შემდეგ რაიმე საეჭვოს არ აღმოაჩენენ, თვითმფრინავს ნებას დართავენ, სირიისკენ ფრენა განაგრძოს. გასულ კვირას თურქულმა ავიაგამანადგურებლებმა მოსკოვიდან მიმავალი სირიული ავიაკომპანიის კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავიც აიძულეს, ანკარაში დაფრენილიყო, რომლის ბორტიც, თურქული მხარის რწმუნებით, სამხედრო აღჭურვილობით იყო დატვირთული.

მოამზადა თამთა კახაძემ

ლიტვაში მემარცხენე ოპოზიციამ გაიმარჯვა

ლიტვის საპარლამენტო არჩევნებში ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა უმრავლესობამ ხმა მმართველი კონსერვატიული პარტიის წინააღმდეგ მისცა. კონსერვატორების რეიტინგის ვარდნა გამოიწვია ბიუჯეტის ხარჯების შემცირების პოლიტიკამ ღრმა რეცესიის ფონზე. ლიტვაში არსებული რეცესია მსოფლიოში ერთ-ერთი უარესი ვარიანტია.

წინასწარი შედეგებით, არჩევნებში ლიდერობს ორი მემერაცხენე პოლიტიკური ძალა - შრომის პარტია და სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიის წარმომადგენლები წინასაარჩევნოდაც მიანიშნებდნენ, რომ, არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლებოდა, კოალიციაც შეექმნათ.

ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ამომრჩევლებმა, რომლებმაც ხმა მისცეს არჩევნებზე მემარცხენე პარტიებს, ამით დასაჯეს ანდრიუს კუბილიუსის მთავრობა, რომელმაც მოსახლეობას შეუმცირა ხელფასები და პენსიები. კუბილიუსი ხელისუფლებაში 2008 წელს მოვიდა, როდესაც გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ლიტვის ეკონომიკურ ზრდას ბოლო მოუღო. ლიტვის ეკონომიკური აღმავლობა წინა წლებში კი სკანდინავიური ბანკებიდან გამოყოფილ იაფ კრედიტებზე იყო დამოკიდებული.

დეფოლტის თავიდან ასაცილებლად ანდრიუს კუბილიუსი იძულებული გახდა, მკაცრი ეკონომიის ზომებისთვის მიემართა. წარმოების მოცულობა 15 პროცენტით შემცირდა, უმუშევრობის დონე გაიზარდა, ათასობით ახალგაზრდა იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამშობლო და სამუშაო უცხო ქვეყანაში ეძებნა. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ნელ-ნელა კონტროლს დაუქვემდებარეს და შარშან მთლიანი შიდა პროდუქტი უკვე 5,8 პროცენტით გაიზარდა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპაში. კონსერვატიული მთავრობის მიდგომამ კრიზისის აღმოსაფხვრელად უცხო ქვეყნების მთავრობებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქება დაიმსახურა, თუმცა, ანალიტიკოსების განცხადებით, ლიტვის მოქალაქეებმა ხელისუფლების ძალისხმევის შედეგები საკუთარ ჯიბეზე ჯერ ვერ იგრძნეს.

ოპოზიციურმა პარტიებმა, თავის მხრივ, პირობა დადეს, რომ მკაცრი ეკონომიის პოლიტიკას შეარბილებენ.

წინასწარი მონაცემებით (ამ მონაცემების გამოქვეყნებისას ხმები ბოლომდე არ იყო დათვლილი), შრომის პარტიას აქვს - 21,34 პროცენტი, ხოლო სოციალ-დემოკრატიულ პარტიას - 19.08 პროცენტი. პრემიერ-მინისტრ კუბილიუსის პარტიამ "სამშობლოს კავშირი - ლიტვის ქრისტიან-დემოკრატები" ჯერჯერობით მხოლოდ 13,83 პროცენტის დაგროვება შეძლო. ბარიერის გადალახვა სულ შვიდმა პარტიამ მოახერხა. პარტიას "წესრიგი და სამართლიანობა" 7,88 პროცენტი აქვს, "სითამამის გზას" - 7,62, "ლიბერალებისა და ცენტრის კავშირს" - 7,48 ხოლო "ლიტვის პოლონელების საარჩევნო აქვიას" (ეს პარტია პოლონური უმცირესობის უფლებებს იცავს) - 5,58. შრომის პარტიის ლიდერმა, ცნობილმა ლიტველმა ბიზნესმენმა ვიქტორ უსპასკიხმა უკვე განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატებთან და პარტიასთან "წესრიგი და სამართლიანობა" უკვე შეთანხმდნენ კოალიციის ფორმირებაზე. არ გამოირიცხება კოალიციაში მეოთხე პარტნიორის ჩართვაც.

ეს ციფრები, შესაძლოა, ოდნავ შეიცვალოს. ამას გარდა, პარტიული სიებით დეპუტატების მხოლოდ ნახევარი - 70 დეპუტატი ირჩევა. პარლამენტის მეორე ნახევარი - 71 მანდატი კი მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებზე ნაწილდება. ორ კვირაში იმ ოლქებში, სადაც გამარჯვებული ჯერ არ გამოვლენილა (ასეთი კი უმრავლესობაა) ხმის მიცემის მეორე ტური ჩატარდება. პარლამენტის სრული შემადგენლობა ცნობილი 4 ნოემბერს იქნება.

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ალგირდას ბუტკევიჩიუსმა პირობა დადო, რომ მინიმალურ ხელფასს გაზრდიდა, ასევე მდიდრებს გადასახადებს გაუზრდიდა. მისივე გეგმით, ევროზონაში გაერთიანება უნდა ერთი წლით ანუ 2015 წლამდე გადაიდოს. ეს პერიოდი კი მას საშუალებას მისცემს, პარლამენტს დეფიციატური ბიუჯეტი დაამტკიცებინოს, როგორიც ევროზონის მიერ არ არის ნებადართული.

მემარცხენე პარტიებმა ასევე პირობა დადეს, რომ გააუმჯობესებენ ურთიერთობას რუსეთის ფედერაციასთან, რომელიც კვლავინდებურად რჩება ლიტვის ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად.

საპარლამენტო არჩევნების დღეს ლიტვაში რეფერენდუმიც ჩატარდა - ახალი ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. წინასწარი შედეგების მიხედვით, მოსახლეობის ორი მესამედი ელექტროსადგურის აშენების წინააღმდეგია.

მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

ბიზნესი

თურქმენეთმა დონორების თვალში სტატუსი აიმაღლა

თინა შავაძე

თურქმენეთს, მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციის მიხედვით, საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნის სტატუსი მიენიჭა.

მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ფილიპ ლე უორის წერილში აღნიშნულია, რომ ასეთი სტატუსის დადგენა განაპირობა მაღალმა მდგრადმა ეკონომიკურმა ზრდამ, რაც ათწლეულზე მეტია, შენარჩუნებულია. მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტის წერილი თურქმენულმა მედიამ გამოაქვეყნა.

მსოფლიო ბანკის ჯგუფსა და თურქმენეთს შორის ამჟამად პარტნიორობის ახალი სტრატეგია მუშავდება.

მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნების კლასიფიკაციის ერთი-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდია მათი დაყოფა ერთ სულ მოსახლეზე განაწილებული მთლიანი შიდა პროდუქტით. ეს ეკონომიკური მაჩვენებელი მსოფლიო ბანკისთვის

ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია ანალიზისა და საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საქმეში.

თითოეული ქვეყანა კლასიფიცირდება, როგორც დაბალი შემოსავლის, საშუალო შემოსავლის და მაღალი შემოსავლის მქონე ეკონომიკის ქვეყნად. კერძოდ, ქვეყანას ამ თუ იმ ჯგუფში ჩარიცხვა საშუალებას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში შეღავათიანი კრედიტი მიიღოს მსოფლიო ბანკისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან.

ORACLE-ს მესაკუთრე ბიზნესს აფართოვებს

თინა შავაძე

ბიზნესმენმა ლარი ელისონმა, რომელიც ტექნოლოგიურ კომპანია Oracle-ს ფლობს, კომპანია Anschutz Entertainment Group-ის შეძენა გადაწყვიტა, რომლის აქტივებშიც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის "ლოს-ანჯელეს ლეიკერსისა" და ჰოკეის ეროვნული ლიგის "ლოს-ანჯელეს კინგსის" გუნდებია. გარიგების თანხამ შესაძლოა, 10 მილიარდამდე დოლარი შეადგინოს, იუწყება "როიტერი".

ელისონს, რომელმაც რამდენჯერმე უშედეგოდ სცადა სპორტული გუნდების შეძენა, კომპანიის ყიდვა შესაძლებლობას მისცემს, შეიძინოს ეროვნული საფეხბურთო ლიგის გუნდი და ის ლოს-ანჯელესში გადაიყვანოს. ამგვარად, ელისონი ხდება პრეტენდენტი აქტივზე, რომელსაც მეორე ამერიკელი მილიარდერი ფილ ანშუცემი აკონტროლებს.

გასაყიდად გამოტანილი ფირმის შეძენის სურვილი მანამდე რამდენიმე კერძო კომპანიამ და უცხოეთის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდებმაც კი გამოთქვეს. გარიგებაში მონაწილეობა სურდა პატრიკ სუნ-შიონგსაც, რომელიც ლოს-ანჯელესის ყველაზე მდიდარი ადამიანია. მისი თქმით, კომპანიის შეძენა "ცხოვრების ჯანსაღი წესის" უზრუნველყოფის მიზნით გადაწყვიტა.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ელისონმა Oracle-ში 4,3 მილიარდი დოლარის ღირებულების საკუთარი აქციები დაარეგისტრირა, როგორც გირაო შესაძლო კრედიტისთვის. მან მოგვიანებით განაცხადა, რომ მზად არის, კრედიტი იმ შემთხვევისთვის გამოიყენოს, "როცა საყიდლებზე წავა და მას გასაყიდი აქტივები მიიზიდავს". ელისონის მთლიანი ქონება 28 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

WASHINGTON POST: საშუალო სიმდიდრის მქონე კონგრესმენის კაპიტალი 5 პროცენტით გაიზარდა

თინა შავაძე

Washington Post-მა აშშ-ს კონგრესმენების ქონებრივი მდგომარეობა გამოიკვლია. გავრცელებული მოსაზრებით, კონგრესში მოხვედრას ადამიანის ავტომატურად გამდიდრება არ მოაქვს. კონგრესმენებს შორის არიან ღარიბები, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებმაც სიმდიდრე მემკვიდრეობით მიიღეს ან წარმატებით დაქორწინდნენ, ამასთან კონგრესმენებს შორის არიან ბიზნესმენები, ბანკირები და ნავთობის ტაიკუნები (მაგნატები). საშუალო ქონების მქონე კონგრესმენები რიგით ამერიკელებზე უფრო

მდიდრები არიან. 2007 წლიდან 2011 წლამდე ამერიკის საშუალო ფენის ქონებრივი მდგომარეობა 39 პროცენტით შემცირდა. ამავე პერიოდში საშუალო სიმდიდრის მქონე კონგრესმენის კაპიტალი 5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მდიდრებმა თავიანთი ქონებრივი მდგომარეობა 14 პროცენტით გაიუმჯობესეს.

ზაზა ფაჩულიას MISSION COMPLETE

პირველი გვერდიდან

იქ კიდევ ოთხი ძველი ბიჭი, წინა შემადგენლობის პერსონა დარჩა და დანარჩენები ამ სეზონიდან შეეჩვევიან "ჰოქსის" ფრენჩაიზს. გუნდში ბევრი რაღაც იცვლება და ფაჩულია რჩება. გუნდში იცვლებიან ლიდერები და რჩება სანდო, პოპულარული, ორგანიზაციის ფავორიტი ზაზა. "მემფისთან" "ატლანტა" 102:110 აგებს. ზაზა 9 ქულით, 9 მოხსნით, 1 დაიმით (მოკლე პასი) დაბრუნდა. კლასიკური ზაზა.

ეს "ატლანტა" ცოტა სხვა ბენდია. წინა რუსტერის მთქმელი სოლოისტებიდან დარჩნენ ზაზა, ჯოშ სმიტი, მისტერ ჰორფორდი და ჯეფ ტიგი. იქვეა აივენ ჯონსონიც. წავიდნენ ჯო ჯონსონი, მარვინ უილიამსი, უილი გრინი, კირკ ჰაინრიხი, ჯანერო პარგო, გაცვეთილი ვარსკვლავი ტრეისი მაკგრეიდი და ერთჯერადი ვლადი რადმანოვიჩი. ჯერი სტექჰაუზი და ჯეისონ კოლინზიც სპამში ჩასვეს. ბიჭები სხვაგან იცელქებენ. ფაჩულია გუნდშია და ზაზამ რთული ზაფხულის შემდეგ უნდა აკრიფოს. საქართველოს ნაკრებში ფაჩულია კაპიტანი, ბოსი, ვოკალური ლიდერია. ბოლო ევრობასკეტის საკვალიფიკაციოში ზაზა 18.6 ქულას და 7.6 მოხსნას კრავდა. კლასიკა ევრობასკეტისთვის და კლასიკა ზაზასთვის, რომელიც ტურნირის პროცესში ალეწილი, ასაწყობი იყო. ფაჩულიამ ბევრი დაშალა. ბოსნიასთან, მირზა ტელეტოვიჩის კრიმინალურ სამიანამდე, ზაზამ სხვის სამწამიანში 8 მოხსნა ხია, ჩვენი კიბორგი იყო.

"მემფისთან" გარჩევამდე ზაზასთან დალაპარაკება საინტერესო იყო. ზაზასთან საკალათბურთო ჭორაობა ყოველთვის საინტერესოა. ზაზაც სულ საინტერესოა. ამერიკელები გაპიარებულ "ბრუკლინს" და მიხაილ პროხოროვის მილიონებს აპიარებენ, "ბოსტონის" ასაკობრივ და არაასაკობრივ პრობლემებზე წერენ. "ორლანდო" მინუს ჰოვარდი უკვე არასექსუალური თემაა და "მაიამიზე" საუბარი ჯერ არ მოსულა, თემაში არ ჯდება. "მაიამისთვის" სეზონი კონფერენციის ნახევარფინალიდან იწყება. "ჰიტმა" რეი ალენი და რაშარდ ლიუისი გაშანსა და უფრო ლეტალური გახდა. და "ატლანტა" ჩვენი გუნდია. ზაზა "ჰოქსით" იწყებს.

- როგორი "ატლანტა" იქნება ამ სეზონში?

- ახალი. წინა შემადგენლობიდან მარტო 5 კაცი დავრჩით - მე, ალ ჰორფორდი, ჯეფ ტიგი, ჯოშ სმიტი და აივენ ჯონსონი. რაღაც დონეზე, გუნდის ძირითადი ხალხი შევინარჩუნეთ და დრაფტზე აყვანილი ორი ბიჭის იმედი გვაქვს. ეს ჩვეულებრივი მომენტია, ლიგაში გუნდები ცვლიან რუსტერებს და მერე რაღაც დრო გინდა ყველაფრის დასალაგებლად. ბუნებრივია, წინა და ამ "ატლანტას" შორის დიდი სხვაობაა. იცი, იმ, ძველ გუნდში ვიცოდით ვინ რას აკეთებდა, ერთად ვიყავით რამდენიმე სეზონის განმავლობაში და ბევრ რაღაცას ინსტინქტურად ვაკეთებდით. ერთად თამაშის გამოცდილება ბევრ პრობლემას აგვარებს. გვაქვს 1 თვე. ამ დროში ერთმანეთი უკეთ უნდა გავიცნოთ. მჯერა, რომ ეს გუნდი წარმატებული იქნება.

- იმოქმედებს მთელი ეს ცვლილებები შენს სათამაშო დროზე?

- ვნახოთ. ჯერ არ ვიცი. დაიწყოს რეგულარული და შევხედავთ რა...

- "ატლანტა" დატოვა ჯო ჯონსონმა.

- ჯონსონი 7 სეზონი ჩვენი go-to guy, ლიდერი იყო. მე და ჯო "ატლანტაში" ერთ სეზონში მივედით, ერთ დროს მოვაწერეთ გუნდთან ხელი კონტრაქტს (2005/06). ჯონსონი დიდი მოთამაშე, ჩვენი ორგანიზაციის სახე იყო. როდესაც გუნდიდან ჯონსონის დონის ვარსკვლავი მიდის, ეს პირველ რიგში, სტრატეგიული ცვლილებაა. ძალიან რთულია ამ დონის მოთამაშის შეცვლა. შეიძლება იგივე პროდუქცია რამდენიმე მოთამაშისგან მიიღო და ეს უკვე სხვა თემაა, მაგრამ ჯონსონი

"ჰოქსის" ცენტრი ზაზა ფაჩულია

იყო ვარსკვლავი. ახალი ბიჭები მომწონს, "ატლანტაში" სიტუაციას შეეჩვევიან, კარგ კალათბურთს ითამაშებენ. იგივე ლუ უილიამსი (*"ფილადელფიაში" 7 სეზონი, საშუალოდ 11.3 ქულა, 3.0 პასი, შარშან - 14.9+3.5, ავტ.*), ენტონი მოროუ (*"ნიუ ჯერსიდან", საშუალოდ 12.1 ქულა, შარშან - 12.0*), დეშონ სტივენსონი "დალასში" ჩემპიონი გახდა, დიდი დოზით გამოცდილება მოაქვს. ყველას თავისი როლი ექნება, ყველამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს. ბუნებრივია, ჯო ჯონსონის წასვლა ჩვენთვის დიდი დანაკლისია. უნდა შევეჩვიოთ. დრო ყველაფერს ცვლის. დრო, მწვრთნელები და მოთამაშეები.

- დრაფტიდან წამოყვანილი ორი მოთამაშე გავიაროთ.

- ჯონ ჯენკინსი მეორე ნომერია, ძალიან კარგი სროლით. მოძრავი, ისეთი ტიპი, სასროლ სიტუაციას თვითონ რომ შეიქმნის (*ჯენკინსი "ატლანტამ" პირველ წრეში, 23-ე ნომრად დაირტყა, ავტ.*). ჩვენი მეორე ბიჭი, მაიკ სკოტი ფორვარდია. ვარჯიშებზე მომეწონა. მოძრავი, საინტერესო მოთამაშე იმპროვიზაციით. დიდი პოტენციალით. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ბიჭებს ყველაფერში და ახალი ნიჭი მაქსიმალურად, საუკეთესოდ გამოვიყენოთ.

- საერთოდ, მაგარი დრაფტი იყო, ხო?

- კი, ბოლო წლებში ერთ-ერთი საუკეთესო დრაფტი იყო. ენტონი დევისი, რა თქმა უნდა, გამორჩეულია. ბიჭს NBA-ში ჯერ ერთი თამაში არ ჩაუტარებია და უკვე ამერიკის ნაკრებში აიყვანეს. დევისი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, გაპიარდა. კარგი ბიჭი აიყვანა "შარლოტმა" (*მაიკლ კიდგილკრისტი, ავტ.*). უბრალოდ, "შარლოტი" ძალიან სუსტი გუნდია და იქ რომ შეგამჩნიონ, მაგარი უნდა მოინდომო. ვნახოთ რა, სეზონის სტარტზე ბევრი რაღაც გამოჩნდება. დრაფტიდან ბევრი ახალგაზრდა მოდის და ყველა ვარსკვლავი ვერ გახდება. ზოგს სხვა დატვირთვა აქვს და ზოგმა ეს წინასწარ იცის. ჩამოყალიბებული, გუნდისთვის საჭირო მოთამაშე ყოველთვის ვარსკვლავი და go-to guy არ უნდა იყოს.

- ზაზა, მოდი, ამერიკული ამბები ცოტა ხნით გავაჩეროთ და ნაკრების თემა გავიაროთ. კმაყოფილი ხარ ბოლო საკვალიფიკაციოთი?

- იცი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაკრების პირველი ხუთეულის ორმა წევრმა, მე და ვიკა სანიკიძემ ტრავმებით ვითამაშეთ, საბოლოო შედეგი ცუდი არ იყო. ვიკა არ გვყავდა ჰოლანდიასთან და წავაგეთ. სანიკიძე ბევრს ხსნის, პერსონალურად ბევრს და აკურატულად იჭერს, ძალიან საჭიროა ნაკრებისთვის. მე მთელი საკვალიფიკაციოს 80 პროცენტი ტრავმით ვითამაშე. დამიჯერეთ, მაგარი დისკომფორტია... შედეგით კმაყოფილი ვარ. არ ვიცი, გავიდოდით თუ არა ჯგუფში პირველ ადგილზე ჰოლანდიაში რომ სანიკიძე ყოფილიყო, ან მე რომ ტრავმის გარეშე მეთამაშა. არ ვიცი, რთული სათქმელია. მთავარია, ფინალურზე გავედით და ამას ზედიზედ მეორედ ვაკეთებთ. საქართველოს ნაკრები არ არის ერთი კაცის გუნდი. კარგად მცვლიდა შერმადინი, სხვებმაც მოუმატეს... ისევ ჰოლანდიასთან თამაშს გავიხსენებ. ვიკა რომ ყოფილიყო, ჰოლანდიის მეთორმეტე ნომერი (*ქის აკერბომი, ავტ.*) ბევრ ქულას (22 ქულა, 5/3 3 pts) ვერ აიღებდა. ვერ მოვხსენით მოსახსნელი. სრული, ჯანმრთელი შემადგენლობით ეს ნაკრები ბევრს მიაღწევს. მისია შესრულებულია, ფინალურ ეტაპზე გავედით და ჩემპიონატამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

- ნაკრები უმატებს?

- პირველ რიგში, მეტი თავდაჯერებულობით გავდივართ სათამაშოდ. ეს გამოცდილებას მოაქვს. კარგია, რომ საქართველოს ნაკრებმა მონახა თავისი ადგილი ევროპაში, უფრო სერიოზული, სხვებისთვის საინტერესო გუნდი გახდა. ფსიქოლოგიურად უკეთ ვართ მომზადებულები. სხვებიც უკვე სერიოზულად გვიყურებენ. შეიძლება, ყველასთან არ ვართ ფავორიტები, მაგრამ უკვე უფრო ფავორიტები ვართ, ვიდრე - პირიქით. რაც მთავარია, ჩვენც მშვენივრად ვგრძნობთ, რომ უკეთესი გუნდი ვართ. სხვების კომპლიმენტები, კარგი პრესა სასიამოვნოა, მაგრამ მთავარი მაინც საკუთარი თავდაჯერებულობა, გამოცდილების მოსვლა და ამ ნიუანსების ერთობლიობაში გამოყენებაა. იცვლებიან, უმატებენ მოთამაშეებიც, ინდივიდუალურად უფრო ბევრს აკეთებენ. ახალგაზრდებს გამოცდილებით ვეტერანები ვეხმარებით. ეს ნაკრები მომწონს.

- ვბრუნდებით ამერიკაში. წავედით თორნიკე შენგელიაზე.

- თორნიკე ისეთ ასაკში და ისეთ ლიგაშია, რომ ყოველ სეზონში, ყოველთვე კი არა, ყოველდღე უნდა მოუმატოს. შენგელია ძალიან ნიჭიერი, მონდომებული მოთამაშეა. იმდენად სწრაფად გადის დისტანციას, რომ მალე უნდა გააუმჯობესოს ყველაფერი. "ბრუკლინში" სერიოზული შემადგენლობაა. იქ შენგელიას დაეხმარებიან, გამოცდილი ხალხისგან ბევრი კარგი რჩევა უნდა მიიღოს.

- ნახე "სიენას" და "სან ანტონიოს" თამაში?

- სამწუხაროდ, ვერ ვნახე, მაგრამ ვიცი, რომ სანიკიძემ 11 მოხსნა აიღო, კარგად ითამაშა. ვიკა ბევრს ხსნის, გრძნობს, სად წავა ბურთი და იქ სხვაზე ადრე, სწრაფად მიდის. კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენო ჰოლანდიასთან ნაგებული თამაში. ვიკას გარეშე პერიმეტრზე ბევრი მოგვიხსნეს, უფრო მარტივად შედიოდნენ თავისუფალ ზონებში. სანიკიძესთან ერთად ბევრი რაღაც შეიცვლებოდა. მგონია, რომ სანიკიძე "სან ანტონიოში" თამაშს, ამ შანსს იმსახურებს. ვიკას არ ეზარება შავი სამუშაოს შესრულება, სულ გუნდზე თამაშობს, სხვებს აზღვევს. სროლაში, ჩაგდებაში ყველა მაგარია, ყველას უყვარს ამის კეთება, მაგრამ უფრო რთულია, იყო საჭირო იქ, სადაც სხვები შეცდომებს უშვებენ. ჩემი აზრით, ვიკას ცოტა არ გაუმართლა, იყო იმ გუნდში (*"ვირტუსში", ავტ.*), რომელიც ევროპაში ისე არ ჩანდა. ამ დონის გუნდებს ამერიკელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, სკაუტები უფრო ჩადიან სერიოზულ თამაშებზე, ევროლიგის ფლეი ოფზე, ევროპის თასის ფლეი ოფზე. ვიკას გუნდი იქ ვერ ხვდებოდა და სანიკიძეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ვიკამ მოუმატა, მაგრად მოუმატა და დღეს არის ძალიან კარგ გუნდში. "სიენა" უფრო ჩანს, ვიდრე ვიკას წინა გუნდი, იტალიაშიც მაგარია, ევროლიგაზე გავიდა. "სან ანტონიოს" უყვარს სანიკიძის სტილის, შემდგარი მოთამაშეები. არ არის აუცილებელი, გუნდმა ევროპიდან ეგრევე წამოიყვანოს მოთამაშე. ვიკასთვის ადვილი იქნება გრეგ პოპოვიჩთან მუშაობა. პოპოვიჩი ერთ-ერთი საუკეთესოა, უყვარს ლეგიონერებთან მუშაობა. "სან ანტონიომ" არ იჩქარა და ტიაგო სპლიტერი მაშინ წამოიყვანა, როდესაც ის უკვე მზად იყო ამერიკული ამბებისთვის. იგივე ვარიანტი იყო ლუის სკოლასთან ("ჰიუსტონში"), დღეს, მირზა ტელეტოვიჩთან ("ბრუკლინში"). სკაუტები ყურადღებას აქცევენ თითქოს, ძალიან უმნიშვნელო, მაგრამ რეალურად, საჭირო ნიუანსებს. მერე ამ ინფორმაციას იღებენ მწვრთნელები. მოთამაშე მზად უნდა იყოს ლიგისთვის, რაც ალბათ, სწორია. არის მეორე ვარიანტიც - როცა მოთამაშეს უშუალოდ ამერიკაში ეხმარებიან პროგრესში და ეს, რაღაც მომენტში ამართლებს. თორნიკეს შემთხვევაში ეს ვარიანტი იყო. ეს სისტემაც მუშაობს. მოთამაშეს და გუნდს გააჩნია.

- "ატლანტა" გავა ფლეი ოფში?

- იცი, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება სტარტს, როგორ შევალთ სეზონში, როგორ ჩავატარებთ პირველ რამდენიმე კვირას. "ატლანტა" ახალი მოთამაშეებით ახალი გამოწვევისთვის ემზადება და ჩვენთვის საინტერესო სეზონი იქნება. რაც შეიძლება სწრაფად უნდა შევთამაშდეთ, გავიაროთ ყველა საჭირო ეტაპი. 2 ნოემბერს გვაქვს რეგულარულის პირველი თამაში (ატლანტაში, "ჰიუსტონთან") და ვნახოთ რა, როგორ წავა ყველაფერი. "ატლანტასთან" ერთად ბევრი სხვა გუნდიც შეიცვალა. "ბრუკლინში" მიდის ჯო ჯონსონი და ეს გუნდი ამ სეზონში ჩემპიონობისთვის ვერა, მაგრამ ფინალში გასასვლელად ითამაშებს. თავისი პრობლემები აქვს "ჩიკაგოს" და ეს გუნდი მაინც სოლიდური, აღმოსავლეთში ერთ-ერთი ფავორიტია. შარშან ვნახეთ, რომ უმატებს "ინდიანა" და "პეისერზი" წელსაც კარგი გუნდი იქნება. სხვებიც იცვლებიან... საინტერესო რეგულარული წამოვა. ჩვენთვის, ალბათ, ნებისმიერი გუნდისთვის ფლეი ოფი განსაკუთრებულია. რა აზრი აქვს 82 თამაშის ჩატარებას, თუ ვერ გახვალ ფლეი ოფში, ვერ ითამაშებ საუკეთესოებთან, საკუთარ თავს ერთ-ერთ საუკეთესოდ არ იგრძნობ? მარტო რეგულარულის გამო დრო არ უნდა დაკარგო. გადი ფლეი ოფში, მიიღე სიამოვნება და მერე დაიწყე მომზადება ახალი სეზონისთვის. "ატლანტა" ზედიზედ ხუთჯერ გავიდა ფლეი ოფში და ამ სერიის გაგრძელება სასიამოვნო იქნება. ამ, ახალი გუნდით.

- ატლანტაში "ბრეივზის" (MLB) ლეგენდამ, ჩიპერ ჩოუნსმა (468 ჰოუმერი, 2 728 ჰიტი, 1 623 RBI) დახუნრა კარიერა. კალათბურთელები მიიღებთ მონაწილეობას ამ ამბებში?

- სამწუხაროდ, "ბრეივზმა" ფლეი ოფის wild card game წააგო "სენტ ლუისთან" და ჩიპერ ჯოუნსის კარიერა ცოტა ადრე დასრულდა. ქალაქისთვის ძალიან დიდი პერსონა, პოპულარული ადამიანი, ლეგენდა... კი, "ჰოქსიც" რაღაც დონეზე ჩაერთვება ჯოუნსის გახსენებაში, რამდენიმე კარგ სიტყვას ჩვენც ვიტყვით.

- ინტერვიუ ნაკრებით დავამთავროთ. ჯერ ადრეა, მაგრამ რა იქნება სლოვენიაში?

- დაველოდოთ, ვინ იქნება ჩვენი მოწინააღმდეგე ჯგუფურ ეტაპზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. წინა ტურნირზე გავედით ჯგუფიდან, მივიღეთ გამოცდილება, ნაკრები შეიცვალა. მნიშვნელოვანი იქნება, თუ ტურნირს ტრავმების გარეშე დავიწყებთ და ტრავმების გარეშე დავამთავრებთ. არ ვიცი, რა იქნებოდა ლიტვაში, ბოლო თამაშებში მთელი გუნდი რომ ჯანმრთელი ყოფილიყო. მე მივიღე ტრავმა, შემდეგ ცინცაძე დავკარგეთ. იცი, რთულია ასეთ მჭიდრო გრაფიკში პირველი ხუთეულის ორი კაცს რომ კარგავ და თან, ყოველდღე თამაში გიწევს, მოგება, ტემპის შენარჩუნება. მე მჯერა ამ ბიჭების და ვიცი, რომ ამ შემადგენლობით მაქსიმუმს გავაკეთებთ. ძალიან მაგარ გუნდშია შერმადინი. მარკოიშვილის გამოცდილება ნაკრებისთვის აუცილებელია. იგივეს თქმა შემიძლია ცინცაძეზე, რომელიც ტრავმის შემდეგ კარგად ათამაშდა, უკრაინაშია. თავისთავად, ძალიან საჭიროა სანიკიძე. შენგელია სწრაფად უმატებს. იმედი მაქვს, რომ წარმატებული სეზონი ექნება მეტრეველს. ძალიან მომწონს ფაცაცია. ფიზიკურად ძლიერია, გულით, ლტოლვით აკეთებს ყველაფერს და ნაკრებისთვის საჭიროა. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრების მომავალია ბურჯანაძე, რომელიც ესპანეთში იღებს გამოცდილებას, საინტერესო, ძალიან ნიჭიერი ბიჭია. ველოდები, როგორ ფორმაში იქნებიან ვლადიმერ ბოისა, ცქიტიშვილი, გამყრელიძე. ნაკრებში მათი დაბრუნება ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ ბიჭებს მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილება აქვთ. ვნახოთ რა...

- ზაზა, დიდი მადლობა დროისთვის, წარმატებულ სეზონს გისურვებთ.

- თქვენც წარმატებულ სეზონს გისურვებთ. შევხვდებით.

ეროვნულმა ნაკრებმა მინსკის "ტრაქტორზე" ივარჯიშა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩს მინსკში, ბელარუსის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს, მატჩის წინა დღეს მინსკის "ტრაქტორის" სტადიონზე ივარჯიშა.

"ჯვაროსნები" ბელარუსის დედაქალაქში გუშინ ჩავიდნენ და მთელი დღე აღდგენით პროცედურებს დაუთმეს. ასე რომ, დღევანდელი ვარჯიში პირველი იყო ფინეთთან მატჩის შემდეგ და მან ერთ საათს გასტანა.

ჩვენმა გუნდმა სრული დატვირთვით ივარჯიშა. სასიხარულოა, რომ ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და მიკროტრავმებიც არ არის.

ვარჯიშის შემდეგ სფფ-ის ოფიციალური ვებგვერდისთვის კომენტარი გააკეთა ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა **სანდრო კობახიძემ**.

"ფინეთთან თამაშამდე ვინმეს რომ ეთქვა, ქულას აიღებთო, ალბათ, კმაყოფილებიც კი დავრჩებოდით და ნორმალურ შედეგად ჩაგვეთვლებოდა, მაგრამ ამ თამაშში მოვლენები ისე განვითარდა, რომ **ქულა კი არ ავიღეთ, ქულები დავკარგეთ,** რაც ძალიან საწყენია. ასეთ თამაშში გამარჯვების ხელიდან გაშვება კარგი არ არის.

მაგრამ ახლა ფინეთთან თამაში უნდა დავივიწყოთ, რადგან, ჩემი აზრით, წინ უფრო რთული მატჩი გველის და მასზე უნდა მოვახდინოთ სრული კონცენტრაცია. კარგი შანსი გვაქვს, ბელარუსთან ნარმატების შემთხვევაში, თამამი განაცხადი გავაკეთოთ ჯგუფში მესამე ადგილის დაკავებაზე.

ბელარუსი სერიოზული, მებრძოლი გუნდია და შესარჩევში რომ ჯერჯერობით ყველა მატჩი ნააგეს, ეგ არაფერს ნიშნავს. აუცილებლად შეეცდებიან, მთელი ძალით შემოგვიტიონ და, სულ მცირე, სწრაფი გოლი გაგვიტანონ. **ჩვენი ამოცანა იქნება, გოლი არ გავუშვათ და ჩვენს შანსს დაველოდოთ, რომელიც აუცილებლად გვექნება**", - აღნიშნა კობახიძემ.

სფფ-ის პრესსამსახური

ანას უქმობა რეიტინგში დაქვეითებად უჯდება

საქართველოს პირველმა ჩოგანმა ანა ტატიშვილმა ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) რეიტინგში ერთი საფეხური დათმო - 1162 ქულით 51-ე ადგილზეა. დიდი ალბათობით დაქვეითება კიდევ გაგრძელდება, რადგან მიმდინარე სეზონში ტატიშვილი კორტზე გასვლას აღარ აპირებს.

WTA განახლებულ რეიტინგში ანას წინ ბრიტანელი ჰიზერ უოტსონი აღმოჩნდა, რომელსაც ჩინებული კვირა გამოუვიდა. ბრიტანელმა ოსაკაში 220-ათასიანი ტურნირი მოიგო და 1165 ქულით 50-ე საფეხურზე დამკვიდრდა. ტატიშვილის უახლოესი მდევარი ლაურა რობსონიც ბრიტანელია - 1153 ქულაა.

ზოგადად კი ამავე რეიტინგში ამ ეტაპზე რვა ქართველი გოგოა.

51 (50). ანა ტატიშვილი - 1162; 284 (280). სოფო შაფათავა - 174; 327 (329). მაკა ჩახნაშვილი - 139; 391 (394). სოფო ქვაცაბაია - 98; 456 (456). ეკატერინე გორგოძე - 74; 539 (539). ოქსანა კალაშნიკოვა - 52; 656 (605). ნათია გეგია - 33; 1158 (924). ანი გოგვაძე - 3;

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) რეიტინგში სამასეულის სიახლოვეს რჩება ნიკოლოზ ბასილაშვილი. ამჯერად, იგი ორი საფეხურით დაწინაურდა და 143 ქულით 310-ე ადგილზე დამკვიდრდა. ისიც ვთქვათ, რომ გასულ უქმეებზე ბასილაშვილი მოსკოვში "კრემლის თასის" ძირითად ბადეში მოსახვედრად იბრძოდა, მაგრამ მხოლოდ ერთი გამარჯვება იზეიმა, რაც თავის მხრივ მის მონაგარს ქულებს არ დაარიცხავს.

ბასილაშვილის გარდა გარდა, ATP-ს რეიტინგში კიდევ სამი ქართველია: 921 (928) ალექსნადრე მეტრეველი - 11; 1414 (1417). გიორგი ჯავახიშვილი - 2; 1534 (1538). გიორგი ცივაძე - 2;

თავისუფალი ვარდნით კოსმოსიდან

ბაუმგარტნერი სტრატოსფეროდან რეკორდით ჩამოვარდა

მაშინ, როდესაც მსოფლიოს სასოწარკვეთილი ნაწილი სამყაროს დასასრულს ელის, 43 წლის ავსტრიელმა ფელიქს ბაუმგარტნერმა პარაშუტით ყველაზე დიდი ნახტომით აალაპარაკა მსოფლიო. ამ ნახტომისთვის ბევრი არაფერი დასჭირვებია - ხელგაშლილი სპონსორი, ოპერატორების, ტექნიკოსების, ექიმებისა და მკვლევართა მთელი ლეგიონი, ჰელიუმით სავსე უზარმაზარი საჰაერო ბურთი, რომლის მოცულობა 850 ათასი კუბური მეტრი იყო, საგანგებო კაფსულა, სკაფანდრა და თავგადასავლების მაძიებლის მშობელი დედა. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას უნდა დავუმატოთ უდიდესი სიმამაცე, რომლის გარეშე ეს ფრენა არ შესრულდებოდა. მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად შეირჩა ნიუ მექსიკოს უდაბნო.

გიგა გურასაშვილი

ისტორია გადაიწერა. ავსტრიელმა პარაშუტისტმა სტრატოსფეროს უკიდეგანო სივრციდან, დაახლოებით 39 კილომეტრი სიმაღლიდან ნახტომით ბგერის სიჩქარეს გადააჭარბა. ბაუმგარტნერის ფრენას მთელი მსოფლიოს მასშტაბით ონლაინ-ტრანსლაციით 8 მილიონზე მეტი ადამიანი ადევნებდა თვალყურს. მოგვიანებით ექსტრემალი გამოტყდა, რეკორდის დამყარება მოსალოდნელზე გაცილებით ძნელი გამოდგაო.

ნახტომამდე ბაუმგარტნერმა კონსულტაციები გაიარა ამ საქმის პიონერთან, უფრო სწორად, ძველ რეკორდსმენთან, სამხედრო საჰაერო ძალების ყოფილ ოფიცერთან, 80 წლის ჯო კიტინგერთან, რომელიც 1960 წელს 31.300 კილომეტრი სიმაღლიდან გადმოხტა (კიტინგერის მიზანი ბგერის სიჩქარის გადალახვა იყო, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. მხოლოდ 988 კმ. საათი განავითარა). თუმცა, გამოცდილი პარაშუტისტის რჩევა-დარიგებები საკმარისი არ აღმოჩნდა. აფრენის დროს ბაუმგარტნერი მიუთითებდა მუზარადში მომატებულ სითბოზე, თუმცა, თავად კაფსულა და კომბინეზონი საგანგებოდ იყო დამზადებული - 67 გრადუსზე დაბალი ტემპერატურისთვის.

სტრატოსფეროში ასვლის დრომ 2 საათი და 16 წუთი შეადგინა. თავდაპირველი გეგმით, ნახტომი უნდა განხორციელებულიყო 36 კილომეტრი სიმაღლიდან, რაც ბაუმგარტნერს არასაკმარისად მოეჩვენა. ამიტომ გადაწყვიტა, კაფსულიდან მაშინ გადმომხტარიყო, როდესაც საჰაერო ბურთი 39 კილომეტრ სიმაღლეს მიაღწევდა (ზუსტი მონაცემებით ნახტომი განხორციელდა 39,044,88 კილომეტრ სიმაღლიდან). სასურველ ნიშნულზე მყოფმა 15-წუთიანი ლოდინის შემდეგ კაფსულის კარი გააღო, გარეთ გამოვიდა და ფეხებით ქვევით გადმოხტა. საქმეში ჩახედულთა გამოთვლებით სტრატოსტატიდან ნახტომის შემდეგ 48 წამში, ავსტრიელი მფრინავის სიჩქარემ გადააჭარბა 1193 კმ.საათს (ჩვეულებრივ პირობებში ბგერის სიჩქარეს), მდგომარეობა შეიცვალა და თავდაყირა გააგრძელა ფრენა (მაქსიმალური სიჩქარე, რომელიც ვარდნისას განავითარა ბაუმგარტნერმა ბოლო მონაცემებით შეადგენს საათში 1341,9 კილომეტრს. თავისუფალი ვარდნის სიჩქარემ შეადგინა 4 წუთი და 20 წამი).

პარაშუტი წარმატებით გაიხსნა. ათი წუთის შემდეგ ფელიქს ბაუმგარტნერი, გათვლის თანახმად, ნიუ მექსიკოს უდაბნოში დაჯდა და სამეთვალყურეო ცენტრში შეკრებილებს, რომლებიც ნახტომს აკვირდებოდნენ, ხელების აწევით მიესალმა. "გვიყვარხარ, ფელიქს!" - ემოციებს ვერ იკავებდნენ იქ მყოფნი. მიწაზე დაშვებიდან რამდენიმე წუთში უკვე სახელოვანი პარაშუტისტი საგანგებოდ ამ ფაქტისთვის ევროპიდან ჩამოსული მშობლებისა და შეყვარებულის გარემოცვაში აღმოჩნდა.

"ბევრად რთული გამოდგა, ვიდრე წარმომედგინა, - თქვა ბაუმგარტნერმა. - დღევანდელი ნახტომი რაღაც განუმეორებელი იყო. განუმეორებელი იყო თავად პროექტიც. კვების ბლოკთან დაკავშირებით თავდაპირველად რაღაც პრობლემები გვქონდა. კაფსულიდან გამოსვლამ ბრწყინვალედ ჩაიარა, მერე ნელ-ნელა დავიწყე ბრუნვა. მეგონა, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მაგრამ მერე ბრუნვის სიჩქარემ იმატა. რთული მომენტი იყო. რამდენიმე წამის განმავლობაში იმაზეც კი ვფიქრობდი, რომ გონება დავკარგე. ბგერით დარტყმას ვერ ვგრძნობდი, რადგან ყურადღება გადატანილი მქონდა საკუთარი მდგომარეობის გაწონასწორებაზე...

ხანდახან მართლა ძალიან მაღლა უნდა ახვიდე, რომ შეიტყო, რამდენად პატარა ხარ".

ატმოსფეროს ზედა ფენებიდან გადმოხტომათა უწინდელმა რეკორდსმენმა ჯო კიტინგერმა მიმდევრისთვის საქებარი სიტყვები არ დაიშურა: "ფელიქსმა შესანიშნავად იმუშავა. ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ მამაც ბიჭთან მუშაობა".

კოსმონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალისტის, ბრაინ უტლის წინასწარი მონაცემებით, პარაშუტისტი ატმოსფეროში შემოიჭრა სიჩქარით 373 მეტრი/წამში.

ფელიქს ბაუმგარტნერმა თავისი ნახტომი საგანგებოდ მიუძღვნა ლეგენდარული ამერიკელი მფრინავ-გამომცდელის ჩარლზ იეგერის გაფრენიდან 65 წლისთავს (ჩარლზ იეგერი - აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალი. 1947 წლის 14 ოქტომბერს იეგერი თვითმფრინავ Bell X-1-ით გახდა პირველი ადამიანი, რომელმაც ჰორიზონტალური ფრენით გადააჭარბა ბგერით სიჩაქრეს. ამასთან, დიდი წვლილი მიუძღვის აშშ-ის სამხედრო ავიაციისა და კოსმონავტიკის განვითარებაში. მისი საავიაციო კარიერა 60 წელზე მეტს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში ის იყო დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირში). ამასთან, უტლი ირწმუნება, რომ ბაუმგარტნერის ნახტომმა ერთბაშად სამი მსოფლიოს რეკორდი დაამხო: ყველაზე ხანგრძლივი თავისუფალი ფრენა, ნახტომი ყველაზე მაღალი ნიშნულიდან და ყველაზე სწრაფი ფრენა.

...ვერტმფრენის მფრინავი ფელიქს ბაუმგარტნერი დაიბადა ავსტრიაში. 16 წლის ასაკიდან გაიტაცა პარაშუტიდან ხტომამ. ავსტრიის სამხედრო აღლუმების დროს ხვეწდა აკრობატულ სქაიდაივინგის ოსტატობას. 1990-იან წლებში გაიტაცა ბეისჯამფინგმა - ხტებოდა არა თვითმფრინავიდან ან შვეულმფრენიდან, არამედ მაღალი წერტილებიდან - მთებიდან ან ხიდებიდან. მის აქტივშია ნახტომი კუალა-ლუმპურის "პეტრონასის" ცათამბჯენიდან, რიო დე ჟანეიროს ქრისტეს ქანდაკებიდან. იესოს ქანდაკებიდან გადმოხტომის ორგანიზატორმა შტეფან აუფშნაიტერმა ბაუმგარტნერი მოიხსენია როგორც "მსოფლიოს ყველაზე შეშლილი ბეისჯამფერი".

"როგორც წესი, ასეთი ნახტომები უპრიანია 50-60 მეტრიდან და არა 30-დან, როგორც ეს იყო რიოში", - ამბობს აუფშნაიტერი. ბაუმგარტნერმა სპეციალური კარბონის ფრთებით გადაუფრინა პა-დე-კალეს ყურესაც (ყურე მდებარეობს დიდ ბრიტანეთსა და ევროპის მატერიკის ნაწილს შორის).

"სრულიად მარტო ხარ. არსებობ მხოლოდ შენ, შენი აღჭურვილობა, შენი ფრთები და შენი ცოდნა", - ყურეს თავზე გადაფრენის შემდეგ ამბობდა ბაუმგარტნერი.

თითოეული გაფრენისა თუ ნახტომისთვის პარაშუტისტი საგანგებოდ ემზადება. ამ ყველაფრის უკან კი დგას მისი დიდი მხარდამჭერი "რედ ბული".